

# სამოქანო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
ბერიოდული ორგანო.

„LA PATRIE”

Organe du parti National-Démocrate Géorgien.

№ 15.

თ ი ნ ა ა რ ს ი :

- |   |               |
|---|---------------|
| 1. საბჭოთა რუსეთი უენევის კარებთან . . . . .                                | ალ. ასათიანი. |
| 2. ნაციონალიზმი თუ სოციალიზმი ? . . . . .                                   | ელ. პატარიძე. |
| 3. ქართველი ერი, როგორც მშენებელი . . . . .                                 | გ. ურული.     |
| 4. ბ. ალ. ასათიანის მოხსენება. . . . .                                      | დამსწრე.      |
| 5. საქართველოს საკითხი . . . . .  | * * *         |
| 6. პრესა : { მარქსის გაკოტრება . . . . .<br>{ სახელმწიფოს აღდგენა . . . . . | ელ.           |
| 7. და სხვა . . . . .  | * * *         |

# სამოგლო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
პერიოდული დოკუმენტი.

„LA PATRIE”

Organe du parti National - Démocrate Géorgien.



აპრილი 1934.

№ 15

AVRIL 1934.

კაბჭოთა რუსეთი შენების კარებთან

საბჭოთა რუსეთის მეთაურები მუდამ გაბედული და ამაყი კი-  
ლოთი ელაპარაკებოდენ თავის ქვეშევრდომებს და მთელს კაცო-  
ბრიობას. ასეთს ჩვეულებას არ ღალატობდენ ისინი თვით უდიდესი  
კრიზისების დროსაც, რაც ფრიად მრავალი ჰქონდათ მათ რუსეთის  
ხელში ჩაგდების დღიდან. უკანასკნელ დროს ეს მათი კილო კიდევ  
უფრო ამაღლებულია, ამაყი და გაბედული. საბჭოთა უკანასკნელ  
ყრილობაზე სტალინის მიერ გაკეთებული მოხსენება და საბჭოთა რუ-  
სეთის საგარეო პოლიტიკის კომისარის ლიტენინგის განცხადებები  
ფრიად საყურადღებოა ამ მხრივ. გარეგნულად თითქოს უფრო თავ-  
დაჭრილია ეს ახალი მათი სიტყვები. ნაკლებია მყვირალა ფრაზები  
და ტრაბახი, მაგრამ თითქოს მეტია რწმენა თავის ძალაში, თავის  
მღვმარების სიმკვიდრეში.

ასეთი მაგარი და ამაყი სიტყვები, რასაკვირველია, შინაურ სა-  
ჭიროებებსაც ეშანურება; უმთავრესად პარტიული აქტივი ჰყავთ  
მხედველობაში. საჭიროა მათი გამხნევება და დაიმედება, რომ მათი  
დაუღალავი ფუსტუსი ალთქმულ კომუნისტურ სამოთხის დამყარე-  
ბისათვის, ნაყოფს იღებს და დასხულ მიზანს უახლოვდება. დანა-  
რჩენი ხალხი, მცხოვრებთა 99% ასეთი პროპაგანდის მიზანთა გარე-  
შე დგას, ვინაიდან სტალინმა და მისმა მოციქულებმა კარგად უწყიან,  
რომ ამ ხალხს ვერავითარი მოხსენებები და იმედიანი სიტყვები ვერ  
დაარწმუნებენ კომუნისტურ რეჟიმის ნაყოფიერებასა და ხალხის-  
თვის სასარგებლო მიღწევებში. სიტყვიერ საბუთებზე უფრო ძლი-  
ერია ამ ხალხისთვის მუდმივი სიმშილი, სრული გაღატაკება და  
უპირველეს მოთხოვნილებათა საგნების მუდმივი დანაკლისი.

მაგრამ ეს ხალხის გასაჭირი, არსად ხილული მონობა და არსად ხილული გაღატაკება, ნაკლებად აწუხებს კრემლის ბატონებს. ფიზიკურ განადგურების საშიშროების წინაშე მდგომ მილიონთა სასოწარკვეთილების ხმა კარგა ხანია აღარ სცილდება კრემლის კედლებს და არ იწვევს სათანადო გამოძახილს კულტურულ ქვეყნებში. თითქოს ყველა შეეჩვია და დააკანონა კაცობრიობის სინდისის წინაშე ას-ორმოცდა-ათ მილიონ ადამიანის არსად ხილული მონობა. ამავე დროს ეს კულტურული კაცობრიობის წარმომადგენელნი დრო გამოშვებით ახმაურდებიან იმის გამო, რომ სადღაც აფრიკის მიუვალ უდაბნოებში კიდევ დარჩენილია მონობის ინსტიტუტი და რამოდენიმე ათეული ათასი შავკანიანი ძველ დროთა პირობებში ცხოვრობს. ნაციათა ლიგა უნდა დასტოოს იმ სახელმწიფომ, რომლის ფარგლებში ასეთი მონური დამოკიდებულობის ნიშნები კიდევ არის დარჩენილი.

ამავე დროს ესევე წრეები ამ უამად დიდს შეღლვარებას განიცდიან, საბჭოთა რუსეთის მეთაურების სიტყვებში ნაციათა ლიგის მიმართ პოზიციის შეცვლის ნიშნები დაინახეს. კომუნისტური რუსეთი ძველებურად მტრულად აღარ უცქერის უნევების რიგანოს, ის პირს იბრუნებს მისკენ და იქნებ შესაძლო გახდეს მისი დაჯერება და დათანხმება, რომ საპატივო ადგილი დაიკავოს ჩვენს შორის, კულტურულ ერთა უმაღლესი უტკლებისა და ზნეობის სადარაჯობები მდგომ კრებულშიო. აღარავის აგონდება აფრიკაში დარჩენილ მონობის გამო აღშფოთება და ნაციათა ლიგის გარშემო მყოფი წრეები და ევროპის პრესის დიდი ნაწილი სიხარულით მოელის იმ მომენტს, როდესაც უნევევის საკრებულოს კარებს იმაყად შეაღებენ ას-ორმოცდა-ათი მილიონი მონის წარმომადგენელნი.

ეს უკანასკნელნიც თითქოს აღზიანებენ და აჯავრებენ თვის მომავალ მასპინძლებს. ისინი თავის პირობებს უყენებენ, საკმაოდ მყაცრ პირობებს; საპატიო ადგილის დათმობა მათ საკმარისად გარკვეულ საქმედ არ მიაჩნიად. მათ უნდა დაუთმონ საპატიოზე-საპატიო ადგილი, მუდმივი სავარქელი ლიგის უმაღლეს საბჭოში და ამის გარდა უნდა დაუკმაყოფილონ მრავალი სხვა მოთხოვნილებანი, რომელთა წარდგენას ისინი არც კი ჩქარობენ.

ნაციათა ლიგას საკმაოდ მნიშვნელოვანი დაპირებები აქვს მიუმული საბჭოთა რუსეთის ულლისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოსათვის. მან აღუთქვა ჩვენს ერს საქართველოში ნორმალური მდგომარეობის აღდგენაზე ზრუნვა, როდესაც ამისათვის ხელსაყრელი პირობები დადგებათ. ლიგისათვის სხვა უკეთესი პირობები ვერ დადგებოდა საქართველოს საკითხის დასაცავად საბჭოთა რუსეთის წინაშე. შესძლებს უნევევის ორგანო თავის დაპი-

რეპის შესრულებას? და არა მხოლოდ დაპირების, არამედ ასევე თავის უფლებრივი საფუძვლების, თავის მორალის? ამ ინსტიტუტის კარებს ურავუნებს სახელმწიფო, რომელმაც დაარღვია მთელი კაცობრიობის თვითმიმდევრობის სახელმწიფო უფლების ძირეული პრინციპები, რომელთა სადარაჯოდ და დამცველადაა შექმნილი ნაციათა ლიგა. ის თავს დაესხა 1921 წელს და ცეცხლითა და მახვილით დაიმორჩილა საქართველო, რომელიც მას იურიდულად ჰყავდა ნაცნობი და რომელთანაც მშვიდობიანი მეზობლობის პირობით იყო შეკრული.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ასე შორს არ წავა ხალხთა უფლებრივი შეგნებისა და კულტურულ ერთა ურთი-ერთ დამოკიდებულობის მორალის დაცემა და პარალიზაცია.

დღ. ასათიანი.

## ნაციონალიზმი თუ სოციალიზმი?

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, მრავალ სხვა კეთილშობილ საკაცობრიო იდეათა შორის, აცოცხლდა და ხორცი შეისხა ეროვნულმა იდეამ. რასიულად მონათესავე ტომები ეროვნულს ერთეულებში დალაგდნენ, თავიანთს ეროვნულს შეგნებას მიაღწიეს; თავიანთი ეროვნული სუვერენობა აღიარეს და მათ მიერ დასახლებულს მიწა-წყალზედ ნაციონალურ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. „ძირიანად და არსებითად ნაციონალურმა ევროპამ შესცვალა მეთვრამეტე საუკუნის კოსმოპოლიტური ევროპა“, ამბობს სორელი. სახელმწიფოს, ფუძედ ეროვნული ერთგვივეობა და ერთობა დაედო. სახელმწიფოს მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, ფინანსები და ეკონომიკა ნაციონალურს მოთხოვნილებათა და მიზნებს შეეგუა, და დაემორჩილა: სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა ნაციონალურის გზით მიიმართა. ეროვნული სულა სახელმწიფოს სულად გახდა; ეროვნული აზრი და გონება სახელმწიფოს ხელმძღვანელათ და მესაჭედ; ეროვნული ნებისყოფა და ენერგია სახელმწიფოს აღმშენებელ-შემოქმედ ძალად.

თავისუფლებით, თანასწორ უფლებით და კერძო საკუთრებით შეიარაღებული კერძო პიროვნება გახდა ნაციონალური სახელმწიფოს დასაყრდენი. დიდი რევოლუციის მიერ აცოცხლებული დემო-

კრატიული და ლიბერალური იდეები პრაქტიკული პოლიტიკის საგნად გახდა. ლიბერალური სისტემა იქცა სიცოცხლის მიმცემ ძალად და მისი უშუალო ზემოქმედებით შეიქმნა და გაძლიერდა სახალხო-მეწარმეობის ის ფორმა, რომელსაც კაპიტალიზმი ეწოდება. კაპიტალიზმი მისცა მატერიალური შინაარსი ნაციონალურ სახელმწიფოს. ამგვარად ნაციონალურის შინაარსით, ნაციონალურს ფორმებში ჩამოყალიბებული სახელმწიფონი მიემართებიან ნაციონალურ აღორძინებისა და სიძლიერის გზით, და შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში შეიქმნენ ისეთი ძლიერნი ეროვნული სახელმწიფონ. როგორიც არის: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და სხვა. ისდივიდუალიზმზედ დაყრდნობილი თანამედროვე ცივილიზაცია, ადამიანის გონიერისათვის წინად მიუწვდომელ საუნჯეთა მთელი რიგით რომ ხასიათდება, ნაციონალურ სახელმწიფოთა ფარგლებში გაიფურჩქნა. ყოველივე ის რითაც თანამედროვე კაცობრიობა ამაყობს კაპიტალისტური და ნაციონალური სახელმწიფოთა ცხოველ-შემოქმედების ნაყოფია.

თავის-და-თავად ნაციონალიზმის ბუნებას არ შეეფერება არც ანტიგონიზმი, არც აგრესიონა, არც შიგნით ეროვნულ უმცირესობათა და ჩახაგრა, არც პატარა ერებისათვის თავისუფლების წართმევა. ნაციონალიზმის ბუნება კეთილშობილი, მორსალური, მშვიდობიანი, შემოქმედი და პროგრესიულია. ამ საზღვრების გარდამლახვი ნაციონალიზმი უარსპყოფს თავის პრინციპებს, ჰკარგავს თავის ბუნებრივს სახეს და სახელს და ზნეობრივ საფუძვლებს მოკლებულს შოვინიზმად და იმპერიალიზმად იქცევა. „გონება განაგებდეს, გული ასრულებდეს და მადა ემორჩილებოდეს“. ნაციონალიზმის რა ბრალია, თუ ზოგიერთი ნაციონალური სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელნი, პლატონ ბრძენის ამ რჩევას არ მიჰყვებან. აქ ნაციონალიზმის უვარგისობა კი არა სჩანს, არამედ მისი ცხოვრებაში მახინჯად გამტარებელთა ამი არ არის კაპიტალიზმისა და ნაციონალიზმის განკურძობებითი თვისება. კაპიტალიზმი სულ უკანასკნელი ორასი წლის მანძილზედ განვითარდა, ნაციონალიზმი კი მხოლოდ ერთი საუკუნეა რაც პოლიტიკურს ფაქტორს წარმოადგენს. ქველი და საშუალო საუკუნეების გრძელი ისტორია კი უხვად აღნიშნავს ხანგრძლივსა და დიდს იმებს. ამი კაცობრიობის არსებობის დასაწყისიდანვე თანდაყოლილი მოვლენაა. კაპიტალიზმა და ნაციონალიზმაც ვერ მოსპონ მისი წარმოშობის შესაძლებლობანი. საუბედუროდ სრულიად არ არის ნიშნები იმისა, რომ კაპიტალიზმისა და ნაციონალიზმის მოწინააღმდეგე სოციალისტები და მარქსისტები შესძლებენ ამ შეუძლებელ საქმეს. თუ ამის ნიშნად არ ჩაითვლება ის გარემოება, რომ ერთა და სახელმწიფოთა შორისო ომის გვერდით მარქსმა ერთი და იმავე ერისა და სახელმწიფოს კლასთა შორის



ბრძოლის თეორია და ტაქტიკა დასწერა და მისმა მიმღევრებმა ამ ტაქტიკისა და მიხედვით ეს თეორია მრავალი სისხლიანი სამოქალაქო ომის სახით თავიანთი სოციალისტური პოლიტიკის პრაქტიკად აქციეს. ჩვენის აზრით ომის სრულიად მოსპობა მხოლოდ კეთილშობილი სურვილია და ტყბილი ილიუზია. მისი ხშირად თავიდან აცდენა და გაიშვიათება კი შესაძლებელია ისევ რეალური ნაციონალური პოლიტიკის გზით. ნაციონალური სახელმწიფოთა ურთიერთ გაგებით, ნაციონალური პოლიტიკის მდაბალ მატერიალისტურ მოტივთა ზეგავლენისაგან განთავისუფლებით; მორალისა—ზნეობისა და უფლების გამარჯვებით. ამ ბერნიერებას კაცობრიობას ვერ მოუტანს სოციალიზმი და ვერც „მეცნიერული“ მარქსიზმი. „მარქსიზმში ერთი ნაცეცის ოდენა მორალიც არ არის“. ეს სიტყვები ლენინს ეკუთვნის და მის მიერ, მარქსისტულს საფუძვლებზედ, შექმნილს. რუსეთის სოციალისტურს საბჭოთა რესპუბლიკას კი 15 წლის თავის პოლიტიკით ამ სიტყვების გამართლება და დადასტურება.

დიდი სახელმწიფოთა პოლიტიკა, მიუხედავად მათი მართველობის ამა თუ იმ სისტემისა, ხშირად არის აგრესიული და იმპერიალისტური. მიმართული მცირე ეროვნებათა დასაპყრობება. ამ მხრივ გამონაკლისა არ შეადგენენ კაპიტალისტური-ნაციონალური სახელმწიფონი. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიასც არა ჰქონია ისეთი დიდი იმპერიალისტური მიზნები. როგორიც აქვს მარქსიზმის საფუძვლებზედ აშენებულს რუსეთის საბჭოთა სოციალისტურს რესპუბლიკას. ასეთი აგრესიული და იმპერიალისტური პოლიტიკის ხელმძღვანელს სტალინს ნაციონალიზმს ვერავინ დასწამებს, გარდა „ბრძოლის ხმისა“, მისი სოციალისტობა და კომუნისტობა კი საქვეყნოდ არის ცნობილი.


სულ ერთი საუკუნეა, რაც ნაციონალიზმი შემომქმედი პოლიტიკური ფაქტორია და უფლება მოპოებული ცნება. შეიძლება ითქვას, რომ წინადაც არსებობდენ მსოფლიოში ნაციონალური სახელმწიფონი. თვით საქართველო, მის შემდეგ, რაც ქართველ ტომთა შორის ეროვნული ნათესავობისა და მთლიანობის იდეამ გზა გაიკავა, ნაციონალური სახელმწიფოს გზით მოდის. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ნაციონალურია. მათი პოლიტიკისათვის უცხო არ არის ნაციონალიზმის მთავარი პრინციპები: ეროვნულად მონათესავე ტომთა ეროვნული გაერთიანება; მათ მიერ დასახლებულს მიწა-წყალზედ ქართული ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა; მისი ეკონომიკური, კულტურული და ფიზიკური აღორძინება; ქართველთა მიწა-წყლისა და ქართველთა სახელმწიფოს თავისუფლების დაცვა გარსშემორტყმულ მტერთაგან. მთელი მათი ნაციონალური პოლიტიკა საქუთარი ეროვ-

ნული არსებობის დაცვაა. მათი ნაციონალური პოლიტიკა არ ატარებს მეზობელთადმი აგრესიობის, ანტაგონიზმისა და შათი დაპყრობის სურვილის ელემენტებს. თუ რაიმე აგრესიული აქტი მოიპოვება მათ მოღვწეობაში; ესეც კი თავდაცვის მიზნით არის გამართებული: თამარ მეფე იყვრობს ტრაპიზუნტის მხარეს. ის მას არ უერთებს საქართველოს, არამედ ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოს ჰქმის საბერძნეთიდან მოწვეულ „პრინცის“ იქ გამოფენით. ეს აქტი არ არის იმპერიალისტური, არამედ წმინდა სახელმწიფო ებრივი და თავდაცვითი. მათი ნაციონალური პოლიტიკისათვის უცხოა მათ სახელმწიფოში მყოფ მცირე ეროვნებათა შევიწროება-დაჩაგვრის სურვილი, ასეთი ნიშნები არ მოიპოვება არც საქართველოს ხანგრძლივს ისტორიაში: ოსთა, ბერძნთა, ებრაელთა და სომებთა ეროვნული უმცირესობანი სრულის მოქალაქეობრივის უფლებებით სარგებლობენ და არავითარს ეროვნულს ჩაგვრას არ განიცდიან. ცნობილია დავით აღმაშენებლის კეთილი მოპყრობა შის სახელმწიფოში მოსახლე მუსულმანთა და სომებთადმი.

ამ გვარად ნაციონალიზმი შეგუებულია და შეთვისებული ქართველი ერის სულისა და ხასიათის მიერ, ის ყველაზედ უფრო უდგება ქართველის ბუნებას.

შეუძლებელია შარმოვიდგინოთ და დავაფასოთ ესა თუ ის პოლიტიკური თუ სოციალური სისტემა განყენებულად დროისა, სივრცისა და გარემოებისაგან. ნაციონალიზმი სუკეთესოდ უდგება თანამედროვე სახელმწიფოებს და განსაკუთრებით კი პატარა ერის სახელმწიფოს. უკანასკნელის ნაციონალიზმი არის ბუნებრივი, რეალური, გონიერივი და ზნეობრივი. იგი არის უმთავრესად თავდაცვითი.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ დემოკრატიზმის, ლიბერალიზმის და კაპიტალიზმის ქრიზისზე. თვით ამ სისტემათა დამცველნიც არ მაღავენ ამ კრიზისს. ინგლისის ბანკის დირექტორმა ნორმანმა ამ საშიოდე წლის წინადა სთქვა: „შეიძლება ჩვენ ვესწრობით კაპიტალიზმის აღსასრულსა“—ო. ჩვენ არ გვინდა „პაზუდ მეტი ქათოლიკენი“ ვიყოთ, ჩვენც ვალიარებთ ამ კრიზისს, რომლის შესახებაც ჩვენ საკუთარი შეხედულებანი გვაქს: კრიზის არის პარლამენტარიზმის და არა დემოკრატიზმის, ლიბერალიზმის ორგანიზაციული და არა დეურური. ფაქტია, კაპიტალიზმის ერთ-ერთი ჭახრაკი მოცვთა და ის გამოცვლას საჭიროებს. ჩვენის აზრით დემოკრატიზმს, ლიბერალიზმსა და კაპიტალიზმს, არმელთაც ხანგრძლივის არსებობით დამტკიცეს ბუნების უხილავ კანონობრივთან თანხმობა-სოლიდარობა, არმელთაც დაუფასებელი განძი მისცეს თანამედროვე კაცობრიობას, აქვს უფლება კრიზისისა. მაგრამ დარწმუნებულნი ვართ თვით



მათ წიაღშივე მოიპოვება ის უხილავი ძალა, რომელსაც მათ გარეშე ექცევნ, მათი კრიზისისაგან განკურნებისათვის. დემოკრატიზმი, ლი-ბერალიზმი და კაპიტალიზმი სავსეა ჯერ კიდევ სასიცოცხლო ძა-ლებით. მომავალში შეიძლება მათ ბევრი ცვლილება განიცადონ, მაგრამ ერთი კი უდავოა: მათი მთავარი პრინციპები მუდამ იქნებიან კაცობრიობის მთავარ დასაყრდენ ფუძედ.

სულ სხვა ხასიათისაა, მეტად მწვავე და უიმედო, ის კრიზისი, რომელსაც ჩვენ ახლა შევეხებით. ეს გახდავთ კრიზისი და უფრო სწორად რომა ვსოდვათ, კვირტშივე დაჭინობა მარქსისტული სო-ციალიზმის. სოციალისტური იდეები მეტად ძიელია არსებრიობის ისტორიაში. მათი სინამდვილედ ქცევის ცდებიც ხშირად მოუხდე-ნით, მაგრამ უნაყოფოდ. ჩეალურსა და ოვით კანონდებულს ცხო-ვრებას არასოდეს მიუკარებია ეს ფუქსავატი იდეები. ბაბეფისა, ფუ-რიესი და სენ-სიმონის იდეები ცის კიდით-კიდემდე მოხეტიალენი ვით მჩატე ღრუბლები, კარლ მარქსმა შეკვრიბა, „მეცნიერულად“ დაამუშავა და ამ შრომას, რომელსაც კაპიტალისტური წესწყობილე-ბა უნდა დაენგრია და სოციალისტურით შეცვალა, რატომღაც „კა-პიტალი“ დაარქვა! მეცნიერება ცხოვრებიდან ჰკრებს რეალურს ფაქ-ტებასა და მაგალითებს; მათზედ დაფუძნებული მისი დასკვნები ცხო-ვრებასავე უბრუნდება გასანაღებლად—ხორც-შესასხმელად. მეც-ნიერება ცხოვრებას ემსახურება. მარქსმა კაპიტალისტური არსებული წყობილების ფაქტებით ისარგებლა სოციალიზმის „მეცნიერულად“ დამუშავებისათვის. მისი „მეცნიერული“ სოციალიზმის ირგვლივ მოელი მსოფლიო პროლეტარული მოძრაობა გაიშალა, სრულიად გარევულს ორგანიზაციულს ფორმებში. ბევრჯერ და ბევრ აღვი-ლას ააფორიაქა მან მსოფლიო; სისხლის ზღვა არა ერთხელ დაუყე-ნებია სოციალისტურს სამოქალაქო ომებს. სახელმწიფო ხელისუფ-ლებაც არა ერთხელ უგდიათ ხელთ სოციალისტებს, მშვიდობიანისა თუ სამოქალაქო ომის გზით. ფრიად საკმაო დრო გავიდა მარქ-სისტა „კუდიანი მკრთალი ვარსკვლავის“ გამოჩენის ღამიდან. შედეგი?—ცხოვრებამ არ გაიკარა არც ეს „მეცნიერულად“ დამუ-შავებული სოციალიზმი. ცხადია მარქს ცალმხრივად და ტენდენ-ციურად უსარგებლნია კაპიტალისტური წყობილების ფაქტებით; კაპიტალიზმის კრიზისების დიაგნოზი სწორად ვერ დაუსვამს. მის მიერ გამოტანილი დასკვნები არ გაიკარა რეალურმა ცხოვრებამ და ამით უარყო მარქსისტული სოციალიზმის „მეცნიერული“ ხასიათი.

მარქსისტული სოციალიზმის იდეიური და ორგანიზაციული და-კინება თავიდანვე დაიწყო: ჯერ კიდევ 1870 წლიდან არსებობდა მარქსისა და ბაკუნინის ორი ფრაქცია; ათი წლის შემდეგ ჰავრის

კონგრესზედ ერთი-მეორეს გაშორდა სოციალიზმი და სინდიკალიზმი; ამას მოჰყევა ფრაქციათა მთელი რიგი—ბლანკისტები, ბრუსისტები, რეფორმისტები და სხვა; 1904 წ გედისტები და უორესისტები; დაბოლოს 1920 წლიდან მესამე ინტერნაციონალის დაფუძნება და დაპირისპირება მეორე ინტერნაციონალისადმი. ამის შემდეგაც არ შეჩერებულა მეორე ინტერნაციონალის რღვევა, რომელიც ჩარის ტემპით მიმდინარეობს ლოლიურ დასკვნამდე. ამ დასახიჩრებული მეორე ინტერნაციონალის პარიზის უკანასკნელი კონგრესი ამის საუკეთესო ილიუსტრირულა. ამ კონგრესში ნათელაყო მეორე ინტერნაციონალის დაწინება; მისი სრული გაკოტრება. „იმ რღვევის შემდეგ, რომელსაც განიცდის ინტერნაციონალი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, თქვენა ხართ უკანასკნელი ყავარჯენი სოციალიზმისა“— ასე მიმართა მეორე ინტერნაციონალის თავმჯდომარებელი კანდერველდემ საფრანგეთის სოციალისტურს პარტიას. ეს უკანასკნელი ყავარჯენიც გატყდა.

„მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანება ფიქციაა და ილიუზია“. „მეორე ინტერნაციონალი აღარ არსებობს. მას გაექცენ გერმანელი და იტალიელი სოციალისტები, მას არავითარი გავლენა და ძალა აღარ აქვს ინგლისში“. „სოციალიზმი ნგრევის უკანასკნელ პროცესს განიცდის. როდესაც დოქტრინასა და სინამდვილეს შორის უთანხმოება არსებობს, მუდამ სინამდვილე იმარჯვებს. ჩვენ კარგად ვიცით. რომ სოციალიზმი ვეღარ გამოვა ამ თანამედროვე ქაოსიდან. ყოველ ქვეყანაში, სადაც ის მკაცრად იქმნა დამარცხებული ხალხოსნური აზრის ნაკადი სწრაფად დასცილდა მას“.

„ჩვენ აღარ შევიძლია კულავ უარივჭყოთ და ზურგი შევაქციოთ ერს“. აი აზრები საფრანგეთის სოც. პარტიის ლიდერების: მარქესი, დეასი და მონტანიონის.

სოციალიზმის გაკოტრება რომ სრულიად დაგასურათოთ. საჭიროა თვალი გადაეცვლოთ სოც. პარტიათა სახელმწიფოებრივს მოღვაწეობას ამ უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზედ.

ვიგებისა და ტორების ქვეყნის ინგლისის შვილი 3. სპენსერი დიდი ხნიდან აფრთხილებდა ინგლისის საზოგადოებრივს აზრს. ამბობდა რომ სოციალიზმის განხორციელების ცდებიც კი ხიფათს შეუქმნიდა ინგლისის სახელმწიფოს. მისი ნათევამი წინასწარმეტველობად აღმოჩნდა: მაკლონალდის მუშათა პარტიის მთავრობამ ამ სამი წლის წინ არივ-დარია ინგლისის სახელმწიფო; ის ფინანსიური და პოლიტიკური დაკინების გზაზედ დააყენა. ამ უფსკრულის პირას გამოერკვია მაკლონალდი, მან დაპგმ თავისი სოციალისტური წარსული, მიატოვა საკუთარი პარტია და ეროვნული კავშირისა და წმინდა ნაციონალურის პოლიტიკის საშუალებით, ინგლისის იმპერია

დაღუპვას გადაარჩინა. გერმანეთის სოც.-დემოკრ. პარტია თვალსა-ჩინო და ხელმძღვანელ როლსაც თამაშობდა გერმანეთის მთავრობა-ში. რა იყო მათი პოლიტიკა, რა მისცა მან გერმანეთს და ან რა ხიფათი დატყვდა თავს თვით ამ ს.-დემ. პარტიას მარქსის საფლავის გვერდით, ეს ყველაზ უწყის. ინგლისისა და გერმანეთის სოც. პარ-ტიების მთავრობების უმაგალითო მარცხს თან მოჰყვა ავსტრიის, ავ-სტრალიის და ესპანეთის სოციალისტური პარტიების მარცხი მთა-ვრობებში. ოლანიშნავიარომ ამ სოციალისტურმა პარტიებმა ხელის-უფლების დაპყრობის შემდეგ ზოგან ვერც გაბედეს თავიანთი სო-ციალისტური პროგრამა, თავიანთი პოლიტიკის პრაქტიკის საგნად გაეხადათ, ხოლო იქ სადაც ეს გამბედავობა გამოიჩინეს და სოცია-ლისტური რეფორმები დაიწყეს, სრულიად არივ-დარიეს სახელ-მწიფოებრივი ცხოვრება.

ოლანიშნავია ერთი გარემოებაც: 8 საათის სამუშაო დღის შემო-ლების შესახებ 1919 წ. ნოემბრის 28-ს, ვაშინგტონში 29 კაპიტალის-ტური და ბურჟუაზიული სახელმწიფოთა წარმომადგენელთა მიერ დადებული შეთანხმების რატიფიკაცია და მისი კანონით ცხოვრება-ში გატარება ჯერაც არ მომზრარა არც ინგლისში, მიუხედავად სო-ციალისტური მუშათა პარტიის მთავრობაში არა ერთხელ ყოფნისა ამ 14 წლის განმავლობაში და არც გერმანეთში, საღაც მნიშვნე-ლოვანს როლს თამაშობდა, როგორც მთავრობის მონაწილე პარტია, სოც.-დემოკრატია. ესეც საქმაოდ ააშკარავებს სოციალისტური პარ-ტიების ნამდვილს ბუნებას...

სოციალისტების წყალობით დიდი ომის შემდეგ იტალია კომუ-ნიზმისა და ანარქიის საფრთხის წინ აღმოჩნდა. აქაც სოციალისტური წრეებიდან გამოვიდა ცნობილი და მებრძოლი სოციალისტი მუსო-ლინი. მან გაცვეთილი ნაბადივით გადასრულდა სოციალისტური იდეები, და გაბედული და წმინდა ნაციონალური პოლიტიკის საშუა-ლებით აღრიჩინებისა და სიძლიერისაკენ შემოაბრუნა თვისი მშობე-ლი ერი. მარშალი პილსუდსკი ცნობილი სოციალისტი იყო. მან დიდი ისტორიული როლი ითამაშა საუკუნოებით განაწამებ კეთილ-შობილი პოლონელი ერის გაერთიანებისა და მისი დამოუკიდებ-ლობის აღდგენის საქმეში. როცა მან დაინახა, რომ განთავისუფლე-ბული ერის ფიზიკური, ეკონომიკური, სულიერი და კულტურული აღ-დგენა შეუძლებელი იყო სოციალიზმის გზით, მან გაბედულად გას-წყვიტა კავშირი სოციალისტებთან. სახელმწიფო გადატრიალების მე-ორე დღესვე ის არ ღებულობს სოციალისტური პარტიების წარმო-მადგენელთ. „მე თქვენთან არვითარი საქმე აღარ მაქვს“ ეუბნება ის მათ. და ამ დღიდან წმინდა ნაციონალურის პოლიტიკის გზით მიუძღვის მოხუცი მარშალი პოლონელ დიდს ერს აღდგენისა და ძლიერებისაკენ.

ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კეთილშობილი მა-  
სარიკიც ხომ ცნობილი სოციალისტი იყო. მან უბადლო ღვაწლით  
და ბრძოლით გაანთვალისუფლა და აღადგინა ჩეხო-სლოვაკთა სახელ-  
მწიფო. მადლიერმა ერმა ის რესპუბლიკის მუდმივ პრეზიდენტად  
აირჩია. მის სახელმწიფოში არავითარი სოციალისტური არა კეთდე-  
ბა. ჩეხო-სლოვაკია თითოთ საჩევნებელი მაგალითია, როგორც დემო-  
კრატიული და ლიბერალურ-კაპიტალისტური სახელმწიფო თანამე-  
დროვე მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ მასარიკის დამჯდარსა და  
საღს გონიერებას ეკუთვნის მარქსის „მეტნიერული სოციალიზმის“ ერთ-  
ერთი საუკეთესო კრიტიკათაგანი.

სიცუვამ ისევ მარქსიზმი მოიტან. ალბად იმიტომ, რომ მის შე-  
სახებ გარკვეული და მკაფიო ბოლოსიტყვა ვსთქვათ: ზედმეტი ღირე-  
ბულების თეორია; მატერიალიზმი; ქონების კონცენტრაცია; კლასთა  
ბრძოლა,— მარქსის ამ მთავარ დებულებებზედ დღეს იშვიათად თუ  
ვინმე ლაპარაკობს. ხოლო თუ ჩვენ მაინც იძულებული ვართ ამაზედ  
ჭილაპარაკოთ, მხოლოდ იმიტომ რომ საზღვარი აღარ უჩანს გად-  
მოქართულებული მარქსიზმის ბელადების სიტყვააშვებულებას. მათ  
თავი ისე უჭირავთ, თითქოს მსოფლიოს რომ საშინელმა ქარტეხილ-  
მა გადაუარა, ყველაფერი ძირს დაეფინოს ვით ტირიფის ხე, ხოლო  
სოციალიზმი და მარქსიზმი იდგას ძირზედ ვით ძლიერი მუხა, მიწის  
სიღრმეში ფესვებ გამჯდარი და ფოთელ დაუვარდნელი. იმას კი  
ვერა ხედავენ ეს მამაცხონებულები, რომ ამ ქარტეხილმა ძირიანადა  
მოსთხარა მარქსის მიერ ედემის ბაღში დარგული ეს ხე „მყობადისა  
და შვებისა“. თუ „პაპზედ მეტი ქათოლიკობა“ შეიძლება, სჩანს  
„მარქსზედ მეტი მარქსისტობაც“ შენაძლება. ცნობილია ქართველი  
კაცის უკიდურესობა, საითაც კი არ გაიწევს ის. „უკუდო ხარი სხვებს  
ბუზებს უგერებდა“—ო, ეს წმინდა ქართული თქმულებაა, ქართველი  
სინამდვილედან ამოლებული და ქართველ კაცზედ ახალობივით  
მორგებული.

სოციალიზმის მარცხით გათავებული „ბრძოლის ხმა“ თუ სხვა  
მათი გამოცემები თავდაცვის მაგივრად, თავს ესხმიან ნაციონალიზმს,  
დემოკრატიზმს, ლიბერალიზმს და კაპიტალიზმს. „დაავადებულს“  
კაპიტალისტურს მსოფლიოს ბ. კანდელაკი სოციალისტური რეფორ-  
მების მიღებას უჩევს; უამისოდ მას დაღუპვას უწინასწარმეტყვე-  
ლებს. ლიბერალიზმსა და ბურჯუაზიულს დემოკრატიის წესი აუგო  
ბ. უორდანამ და პროლეტარიატის დიქტატურასა. და საბორებისე-  
ბურს სოციალისტურს დემოკრატიას ჰქანავებს. ლევილის შატოდან  
მსოფლიო პროლეტარიატს მოუწოდებენ შეერთებისა და ბრძოლი-  
საკენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მსოფლიო სოციალიზ-  
მისა. და მარქსიზმის ღროშა თვით მარქს სიკვდილის წინ საგანგებო  
ანდერძით და საკუთარის ხელით ქართველი მენშევიკებისათვის ჩა-

ებარებინოს! ჩვენი სოციალისტები რომ მეტის ხნით დარჩენილიყვენ საქართველოში, როგორც მმართველი პარტია, ალბათ მათ რეალური ცხოვრება ბევრს რამეს ასწავლიდათ, ისე როგორც მან ეს ასწავლა ევროპის სოციალისტებს. თვით ევროპის სოციალისტები ჩვენში სტუმრად მოსულნი არ თაკილობდნენ, იქ ესწავლათ თუ რა იყო პრაქტიკული სოციალში. ჩვენმა სოციალისტებმა ცამეტი წელიწადი ევროპაში ისე დაჰყარგეს, რომ ამ მხრივ სრულიად ვერასფერი ისწავლეს. აღსანიშნავია ერთა გარემოებაც: რამდენად მარჯვნივ მიღიან ჩვენი სოციალისტების ევროპიელი კოლეგები, იმდენადვე მარცხნით მიღიან ჩვენი მარქსისტები. სამართლიანობა მოითხოვს აღვიზუნოთ, რომ ქართველ მარქსისტთა შორისაც იჩინა თავი გამოფხილების ნიშნებმა, რომელსაც კარგი პირი უჩანს. ჯერ მის შესახებ მეტის თქმა ნააღმდებია, მისდამი ჩვენი კეთილი სურვილების გამოთქმა კი სრულიად ბუნებრივია.

პოლიტიკის ობიექტი არ წააგავს მათემატიკის აბსტრაქტიულსა და განყენებულს ობიექტს, წინააღმდევ ამისა ის არის კონკრეტული და რეალური. „საჭიროა სოციალისტებმა მეტი ყურადღება ათხოვნონ ცხოვრების სინამდვილეს, ვინემ მათი დოქტრინის დოგმებსა“-ო, ეს აზრი გამოფხიზლებულ სოციალისტს პოლ-ბონკურს ეკუთვნის; კარგი იქნება ჩვენი სოციალისტებიც გაიხდიდნენ მას თავიანთ საკუთრებათ. „მარქსიზმი წააგავს ბიბლიას, რომლის განმარტება-გაგება შესაძლოა ორი სრულიად მოპირდაპირე აზრით“-ო სოქვა ლიბკნებტმა. ამაში ჩვენი მარქსისტების დახელოვნება თვალთმაქობამდე მიღის, მაგრამ გაბზარულს თიხის ქოთანს არ შველის ყურის მეორე აღგილას გამობმა. ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის დროს მენშევიკური პარტია, ოფიციალურად მთავრობის პარტია იყო და პაზიციის. სინამდვილეში კი ის იყო ოპოზიციონური ძალა დაპირისპირებული საუკუნოებით ჩამოყალიბებულს საქართველოს ეკონომიკური-სოციალური-პოლიტიკური და სულიერი სახეობისადმი. ეროვნული დემოკრატია კი რადიკალურად საწინააღმდეგო მდგომარეობაში იყო. საქართველოს თავისუფლების აღდგენიდან როლები შეიცვლებან, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ცხოვრება უხეში ძალის მიერ შეეცნებულია სოციალიზმის ლიანდაგზედ. ჩვენი მომავალი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და ამ დარგში ჩვენი მომავალი შეთანხმებისათვის მეტად საინტერესოა და საჭიროც ვიცოდეთ ჩვენი სოც.-დემოკრატიული პარტიის აზრი, არა ჩვენი ეროვნული თავისუფლების შესახებ, არამედ რაც მთავარია, სოციალური და ეკონომიკური საკითხების შესახებ. ეროვნული თავისუფლების მომხრეობა ხშირად გამოუჩნია ს.-დემ. პარტიას, ისე როგორც ხშირადვე მისდამი მოწინაღმდეგობა. ეს საკითხი მისთვის ტაქტიკისა და მიზან-

შეწონილებისაა და არა პრინციპის. სოციალიზმი საერთოდ თავის პრინციპშივე ეწინააღმდეგება პიროვნებისა და ეროვნების თავისუფლებას, მაგრამ აქ ჩვენ მეორე საკითხი უფრო გვაინტერესებს: ეგუება თუ არა მარქსის „მეცნიერული სოციალიზმი“ თავისუფალი ერის ნაციონალურ-სახელმწიფოებრივს ცხოვრებას?

ჩვენმა სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ თანდათანობითი, ევოლუციით უნდა დადგებითად უპასუხოს აქ ღასმულს კითხვაზედ. მათ უნდა უარპყონ ის მათი იდეები და პრინციპები, რომელნიც არ ეგუებიან და ეწინააღმდეგებიან ერის ნაციონალურ სახელმწიფოებრივს ცხოვრებას.

ჩვენი დანგრეული და წაქცეული ეროვნული ცხოვრების აღგენა-დაფუძნება შესაძლებელია ლიბერალიზმის, დემოკრატიზმის და ნაციონალიზმის საფუძვლებზედ. ს. - დემოკრატიული პარტია უნდა დაუახლოვდეს ჩვენი ეროვნული ცხოვრების სინამდვილეს; ამისათვის მან გაბედულად უნდა უარპყოს მარქსიზმის მთავარი პრინციპები, თორემ ცხოვრება თვით დაყენებს საკითხს, შესახებ ქართული ეროვნული აზროვნებისა და პოლიტიკის მარქსიზმისაგან განთავისუფლებისა.

„არადანი ჩვენ,  
აჩჩევანი თქვენ“.

ელ. პატარიძე.

## ჩართველი ერი, როგორც მშენებელი

(ეკონომიკური ეტიუდი).

(გაგრძელება \*)

გაცოჩენილი გეოგრაფი სტრაბონი, ქრისტეს შემდეგ პირველს საუკუნეში რომ მოღაწეობდა, პირადათ საქართველოშიც ყოფილა; იგი დიდის ქებით იხსენიებს იმ წესებს, რომლითაც ქართველი ერი მისდევდა სასოფლო - მეურნეობასა, უქებს ჩვენს ხალხს მეურნეობა-ში ხმარებულ იარაღებს, აღნიშნავს ჩვენი მიწების არა-ჩვეულებრივ დიდს მოსავლიანობას, კულტურების ნაირ-ნაირობას, სადაც პურე-ულობასთან ერთად ითესებოდა: სელი, კანაფი; ბამბა მე-XII-XIII

\*) იხ. „სამშობლო“ № 14.

საუკუნოდან) და ყველა ამასთან ბალ - ვენახების გაშენებას, ღვიძის დაყენების ცოდნას და სხვა.

ულრმეს წარსულში პქნირა ქართველ კაცს წარმოდგენა თესლის შერჩევის სარგებლობაზე (სელექცია); ჯერ კიდევ იმ დროს უწევდა იგი ანგარიშს ნიადაგის კარგად დამუშავების საჭიროებას, მიწევის დასვენების აუცილებლობას, სამს-ოთხს წელიშადში ერთხელ, რათა მათი ღონე კვლავ აღდგენილიყო. სასოფლო-მეურნეობაში ხმარებულ იარაღების მრავალ - ფეროვნებას იმ დროისთვის, მათი კონსტრუქციის სისრულეს, გაკვირვებაში მოყავდათ ის უცხოელნი, რომელთაც ჩვენში უცხოვრიათ. საკმაოდ ბლომათა დარჩენილი ძველი ნაწერები, რომელიც მაწმობენ, რომ საქართველოში სასოფლო-მეურნეობა მართლაც და მაღალს დონეზედ ყოფილა ასული.

ერთობ საინტერესოა, მაგალითად, ქართული გუთნის გაუმჯობესობის ისტორია, სასოფლო-მეურნეობაში ხმარებულ ამ უმთავრეს იარაღისა. ვვახსოვს ჩვენი სტუდენტობა, პროფესორი გვიკოთხავდა საზოგადოთ გუთნის გამოგონების ისტორიას და მისი კონსტრუქციის ევოლუციის ამბებს. კერძოთ ქართული გუთნის შესახებ აი, დაახლოვებით, რა გაღმოგვცა პროფესორმა: გუთნის თან და თანხმით გაუმჯობესობის ისტორიაში ქართულს გუთანს საპატიო ალაგი უკავია; პირველად ამ გუთანში იყო განხორციელებული ის წარმატებანი, რომელიც ხნის დროს გუთანს ურყევად სვლას ანიჭებდა. მაშინ ამ სიტყვებს არ მოუხდენიათ ჩემზედ სრული შეგნება იმისი; მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა გავეცანი ცვ. ჯავახიშვილის კაპიტალურ შრომას, მის „ეკონომიურ ისტორიას“, შევიგნე, თუ რა დიდი გამოგონება უნდა ყოფილიყო ქართველებისაგან შემოღება ისეთი გუთნის ბორბლებისა (მე-XII ს.), რომელიც ერთი ზომისანი არ იყვნენ: ხნულში ჩაყენებული ბორბალი უფრო მცირე რაღიუსისა, ვიდრე მეორე, საველ თვალი. ამანაირი სისტემის გუთანს საქართველოში გაცილებით უფრო ადრე ყოფილა ხმარებული, ვიდრე ევროპაში, სადაც მათ მხოლოდ მე-XVII-XVIII საუკუნეებში ვხვდებით (ამ დროებამდე იქ ბორბლები თანასწორი ზომისა იყო). რკინის სახნისს ქართველები ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე ხმარობდნ; ამ უამაღ უკვე მტკიცდება, რომ გუთნის ერთი ნაწილი, სახელდობრ საკვეთი,—სახნისს რომ წინ უსწრობს დანის ფორმით, პირველად ქართველებისაგან უნდა იყოს გამოგონილი. ყოველს შემთხვევაში მტკიცდება, რომ საკვეთო ქართველები რომზედ და საბერძნეთზედ ადრე ხმარობდნ. გუთნის ბოლტების გაღმოსაბრუნებლად ფიცარსაც. სახნისის თავზედ რომარის აყუდებული. ეს გაუმჯობესობა ქართველებს მე-V საუკუნეში შემოულიათ. ამ ფორმის საბრუნებელის (რუსულად „ოტვალი“) მაგირ, რომაელებს სახნისის გვერდით გაკეთებული ქონდათ ორი პატარა

ყური, ხისავე, რომელიც არაფრად მიაგავს ქართული გუთნის ფიცარს. ეტყობა, ფიქრობს პროფესორი ჯავახიშვილი, რომაელების გუთანი ქართველებმა პირველად რომაელების საქართველოში შემოსევის დროს ნახეს და მათი გუთნის „ყურები“, შეუცვლელად კი არ გადომოიღეს, არამედ თავისი უნარით გადააკეთეს იგი და ისე გააუმჯობესეს, რომ ხენის დროს მიწის გადაბრუნება და დაფშვნეტვა გაცილებით უფრო კარგად ხდება. ეს გაუმჯობესებული მიწის საბრუნებელი, ქართველებმა ევროპაზე რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე განახორციელეს.

ქველი ქართული მემინდვრეობის კულტურის განვითარების მაღალი დონე, სრულის უეჭვობით უნდა მტკიცდებოდეს, ამბობს ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი. აი ერთი უცხოელი მწერლის მოწმობაც: მეოვრამეტე საუკუნეში კაი ხანს დაჰყო საქართველოში, სახელდობრ სამეგრელოში, მისიონერმა ლამბერტმა, იგი მემინდვრეობაში ხმარებულს ასეთს თესლთა ბრუნვას ალარავს: პირველს წელს ითესებოდა ღომი, იმის შემდეგ სიმიანი, მერე პური და მეოთხე წელს მიწას ასვენებდენო. უნდა ითქვას, რომ ასეთი თესლის ბრუნვა, მეცნიერული აგრძონომის თვალთაზრისით, დღესაც რაციონალურად უნდა იყოს აღიარებული. ქართველებმა, მოწმობს ლამბერტი, თესვის წინ, თესლის გაწმენდა, გასუფთავებაც იციანო. ჩვენ ეხლა ვიცით, რომ ასეთი თესლის გადარჩევა აუცილებელი მოთხოვნილებაა თანამედროვე მეცნიერული აგრძელულ ტურისა.

მეოვრამეტე საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერი, ბატონიშვილი ვახუშტი, თავის საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიაში, ერთად უყრის თავს ცყველა იმ ცოდნას, რაც სასოფლო-მეურნეობის დარგში, თუ მცენარეთა მცოდნობაში ქონია ქართველებს. გეოგრაფი ვახუშტი უკვე საუცხოვოდ ერკვევა, რა გავლენას ახდენს სასოფლო-მეურნეობის წარმოებაზედ ზონების ურთი-ერთობა. ამ ზონებს იგი არკვევს ჰორიზონტალურს და ვერტიკალურ მიმართულებით, აგვიწერს მათ დაწვრილებით, იმ მცენარეების ჩამოთვლით, რომელნიც ამა თუ იმ ზონას ახსიათებენ. როგორც პროფესორი ივ. ჯავახიშვილი გადმოვცემს, მცენარეთა ზონალურად ჩარიგება, ევროპაში, პირველად იღნიშვნა ფრანგმა მეცნიერმა de Gandelle-მა მეცხრამეტე საუკუნეში. ქართველმა მეცნიერმა ვახუშტიმ საქართველოს ზონების აღწერა, უკვე 1740 წელს მოგვცა, ე. ი. თითქმის ორასი წლით ადრე, ვიდრე დე განდელის ის შესანიშნავი წიგნი გამოქვეყნდებოდა.

ქართულმა სასოფლო - მეურნეობამ, სხვათა შორის, მდიდარი ტერმინოლოგია მოგვცა. ამითიც მტკიცდება, როგორის დაკვირებით, ადგილობრივი პირობების ღრმად შეფასებით და შეგნებით მისდე-

ვდენ ჩვენი წინაპარნი ხვნა - თესვას, თუ მეურნეობის სხვა წარმოებას. ამის შედეგი — მიწების ის დიდი მოსავლიანობა იყო. რომელ-საც აგვიშერენ ძველი მწერალნი. სტრაბონის დროს ჩვენი პურის მოსავალი, დათესილს აღემატებოდა 50 ჯერ! მეთვრამეტე საუკუნე-შიც, ლომბარტის მოწმობით ეს მოსავალი 8 ჯერ აღემატებოდა თე-სლსა. საქართველოს ბუნების დაკვირვებით, შეგნებაში შეასწავლა ჩვენს ხალხს მცენარეთა თვისი საკუთარი ხარისხების გამოყვანაც. ეს ქართული ხარისხები, მაგალითად პურეულობაში, ცნობილია. სწრა-ფის დამწიფებით, საუცხოვო გემოთი და ჯიშის სიმტკიცით. მაგა-ლითად ზანდურის პური, ანუ მაზა (ოსლი), ის ქართული ხარისხია, რომელიც ჩვენებურ თორნის პურს ანიჭებს ასეთს შესანიშნავ გემოს.

ასეთი ყოფილა ძველათ ქართველი ერის უნარი სასოფლო-მეურნეობაში. ბუნებრივად იბადება კითხვა: ნუ თუ დღე-ვანდელს ქართველებს ისე შემოაკლდათ ეს მამა - პაპეული უნარიანობა, ისე მოსწყდენ ისენი თავის ძველად ნაქებ კულტურას, რომ ვეღარ მოუხერხებიათ აწინდელი თვისი მეურნეობა ისეთს დო-ნეზედ დააყენონ, რომ მათი კეთილმყოფობა ცოტა ზემოთ აიწიოს?

თქმა არ უნდა, რომ სასოფლო-მეურნეობას ჩვენი ხალხი დღე-საც დაკვირვებით და თუ გნებავთ, მოხერხებითაც მისდევს, მიუხე-დავად იმ მძიმე ეკონომიკურ პირობებისა, რომელიც ძალათა აქვს თავს მოხვეული აგერ ასოცი წელიწადია. იგი საკუთარს ძალებზედ დაყრდნობილი, ათასის გაჭირვებით, მხოლოდ საკუთარის უნარით, სხვების ღაუხმარებლად, უძლვება მაინც. დაე სილარიბით, თვისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას! ლარიბად კოტყვით ჩვენ, მა-ნამ უვარესი მართველობის მიერ ხელოვნურად ჩვენს თავზედ მო-ხვეული პირობები არ იქნება შეცვლილი, უკუგდებული!

უკანასკნელი დიდი ომის დაწყებამდე სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაცია ყოველს შემთხვევაში იდგამდა ჩვენში ფეხსა. ეს გამოიხატებოდა, მაგალითად, მებაღეობის, მებოსტნეობის წარ-მოების გადიდებით; ხილის ჯიშების გაუმჯობესებით, ვენახების ეკრაპიული წესებით დამუშავებით, ვაზის და ხეხილის წამლობის შემოღებით, მეთამბაქობის ზრდით; მინდვრებში იშყობა კომბო-სტოსი, ქართოფილის და ჭარხლის მოყვანა. დასავლეთ საქართვე-ლოს ვაზებს, ფილოქსერა რომ მოედო, რუს მთავრობის ექსპერტე-ბის რჩევით, ჩვენ ხალხს ვაზი სულ ძირიანად უნდა ამოეგდო და იმის მაგიერ ზეთის ხილი გაეჩინა, ან რამის თესვას მოყოლოდა; ვითომდა, კულტურულად დაქვეითებული ქართველი, ვერ შესძლებ-და ფილოქსერასთან ბრძოლასო. ჩვენმა ერმა ეს რჩევა არ მიიღო, საკუთარის ძალებით შეებრძოლა ფილოქსერას, დაამარცხა. იგი და თან, ახალი ვაზის გაშენებაში, მეცნაერული მეთოდების მოხმარე-



ბაც შეისწავლა, მასთან ერთად საუცხოვოდ გაეცნო ვაზის ჭამლობის პროცესსაც. ბოლოს ხომ ფორმოქალ - მანდარინებისა და ჩაის პლანტაციების მოწყობასაც შეეჩია. ყველა ამით, ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ ძველად მონაპოვარი კულტურა ღრმად აქვს მას ძვალსა და აბილში გამდგარი, რომ დღესაც არ დაუკარგავს მას ნიჭი სასოფლო - მეურნეობაში ინიციატივისა და ხერხის გამოჩენისა.

მიუხედავად ამისა, მაინც იბადება კითხვა: რა მოხდა, რითი უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ ქართველი ხალხი მაინც ღარიბია და ძლიერ ახერხებს იგი თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; ღარიბია ესოდენ მდიდარს ქვეყანაში, სადაც, თითქოს, ყველა პირობებია მოცემული რომ მოსახლეობის კეთილღღეობა, რომ იტყვიან, სდუღდეს და გაღმოსდიოდეს?...


ეს კითხვა დიდი ხანია სდგას ჩვენი ერის წინაშე, და ჩვენი ეკონომისტები მოვალენი არიან აგვისტისან იგი, ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ყოველ - მხრივი შესწავლით. ეს ახსნა, ალბად, მომავლის საქმეა და ეხლა კი, ნება მიბოძეთ, მანამ ამ კარდინალურს კითხვას კვლავ დავუბრუნდებოდე, ჩვენი ეკონომიკის უფრო ახლოდ გათვალისწინებისათვის მოგაწოდოთ კიდევ რამდენიმე ცნობა. ბოლშევიკური გამოცემანი საყოველთაოდ გაიძახიან, რომ პურის მოსავლის ნაკლუვანება საქართველოში იმ ზომამდეა მისული, რომ რუსეთიდან, ყოველ წლივ 10 მილიონი ფუთის ხორბლის შემოტანა გვიხდება. ეს ცნობა შორს არ უნდა იყოს სიმართლეზედ და დღევანდელს სინამდვილეზედ. ომამდი, როგორც მოგეხსენებათ, მდგომარეობა ცოტა სხვანაირი იყო. მაშინ მოდიოდა წლები, როდესაც საქართველოს ყოფნიდა თავისი პურის მოსავალი, თუმცა იყო ისეთი წლებიც, როცა ეს მოსავალი არ იყო საქმარისი.

განსვენებულს ნოე ხომერიკს თავის ერთს წიგნაკში ასეთი ცნობები აქვს მოყვანილი: 700 ათას ჰეკტარზედ დათესილ პურის მოუცია მოსავალი 500.000 ტონი. იხარჯებოდა კა:

|                      |   |              |
|----------------------|---|--------------|
| მოსახლეობის საკვებად | — | 528.840 ტონი |
| სათესლეთ             | — | 69.000 ტონი  |
| საქონლის საკვებათ    | — | 63.238 ტონი  |

სულ 662.000 ტ. (მორგვ-ბით).

როგორც ვხედავთ, ამნაირს ცუდი მოსავლის დროს ჩვენს ქვეყანას აკლდებოდა 112.000 ტონი. მაგრამ, საქმის მდგომარეობა ყოველთვის რომ ასეთი არ ყოფილა, ამას შემდეგი გვიჩვენებს. 1909-1913 წლებში, საშუალოდ, ყოველ წლიური მოსავალი უდრიდა



42.557.000 ფუთს, ე. ი. 700.000 ტონზე მეტსა. ამ შემთხვევაში დე-  
ფიციტს ან სულ არა ქონია ადგილი და ან მცირე რაოდენობით...

რას აშეარავებს ეს ციფრები? სულ პირველად იმას, რომ ერ-  
თობ მცირე ყოფილა ჩვენში პურეულის მოსავალი, თითო დესტი-  
ნაზედ რომ ვიანგარიშოთ, ჩვენში 700.000 ჰეკტარზედ მოსავალი  
რაღაც 550.000 ტონი ყოფილა, სხვა ქვეყნებში ამ ზომისავე ფარ-  
თობი იძლეოდა ასეთ მოსავალს:

|            |                 |
|------------|-----------------|
| იტალია     | 595.000 ტონს    |
| საფრანგეთი | 875.000 ტონს    |
| გერმანია   | 1.240.000 ტონს  |
| ბელგია     | 1.610.000 ტონს  |
| დანია      | 1.820.000 ტონს. |

თუ ჩვენ 550.000 ტონის მოსაყვანათ დაგვჭირებია 700.000 ჰე-  
კტარის მოხენა, ამ რაოდენობის მოსავლის მისაღებათ საკმარისი  
იყო მოეხნათ:

|            |                  |
|------------|------------------|
| გერმანიაში | 315.000 ჰეკტარი  |
| პოლანდიაში | 280.000 ჰეკტარი  |
| ბელგიაში   | 260.000 ჰეკტარი. |

ამ ცხრილებიდან აშეარათ ვხედავთ, რომ ჩვენებური სასოფ-  
ლო-მეურნეობა სათანადო დონეზედ რომ ყოფილიყო დაყენებული,  
ჩვენს ხალხს, იმ წელს, 700.000 ჰეკტარის მოხენა კი არ დასჭირდე-  
ბოდა, არამედ მესამედის, ბელგიის მაგალითს რომ მივხედოთ. და-  
ნარჩენი ჩვენი მიწები განთავისუფლებული იქნებოდა პურეულობი-  
საგან და იქ უფრო მაღალი ღირებულობის კულტურას მივყვებოდით,  
უფრო ინტესიური მეთოდებზედ გადასვლით.

ამნაირს მცირე მოსავალს ჩვენში ყველა სხვა კულტურებიც  
იძლევა: თამბაქო, ვაზი, ხილი, თხილი და კაკალი; მცირეა გამოსა-  
ვალი მატყლისა, აბრეშუმის და სხვათა...

მართალია აქ ჩამოთვლილ დარგებში, ზოგს შემთხვევაში, იმ-  
დენი მაინც მოდის, რომ შინ მოსახმარადაც ყოთნის ჩვენს ხალხს და  
ზედ-მეტი უცხოეთშიც გადის, მაგრამ აქაც, საერთოდ, მოსავლიანო-  
ბა მცირეა მაზედ, რის მიღება ადვილად შეიძლებოდა ჩვენში, მეურ-  
ნეობა რომ უფრო რაციონალურად სწარმოებდეს.

ასეთია ვითარება სასოფლო-მეურნეობაში. გაოაიხედოთ ეხლა რა  
ხდება ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურს სხვა დარგებში.

აქ ჩვენ გვინდა სულ მოკლეოვე შევეხოთ ჩვენებურს მრეწვე-  
ლობას, ვაჭრობას, შინა-მრეწველობას და სხვა. ას ჩვიდმეტი წლის  
ჩუსის ბატონობის დროს, კაცმა რომ სოქვას, ჩვენში არაერთადი-



მრეწველობა არ ყოფილა დაშვებული; ეს რასაკვირველია, იმიტომ არა, რომ ამისათვის ადგილობრივი პირობები არ ყოფილიყო მოცე-მული ან მოსახლეობას არ ქონიდა უნარი, ან სურვილი ასეს მო-ლვაწეობაში ჩაბმულიყო.

რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკა ყოველთვის ისეთი იყო; რომ იგი სრულებით არ უწყობდა ხელს მრეწველობის გზენას ისეთ გა-ნაპირა პროვინციებში, როგორც საქართველოა. რუსეთის კოლო-ნიალური პოლიტიკა ჩემი ქვეყნის მიმართ ნაწარმოები, მოითხოვდა რუსეთის ქარხნებისათვის ნედლი მასალის შიცემას, ფაბრიკის ნაწა-რმოები-კი ჩემ უეჭველად რუსეთიდან უნდა გამოგვეწერა. რუსების ეს პოლიტიკა ტარდებოდა დაუინებით და ულმობლათ; ერთი მიზეზ-თავანი ეს იყო, რომ ჩემი სასოფლო-მეურნეობა დაბალ ღონეშედ იდგა, მოსახლეობაც მატერიალურად მეტად დაჭვეითდა. ჩემს სო-ფელს კულდა ონიერი ქალაქი, ქალაქს დიდევ კულდა დოვ-ლათანი სოფელი. ჩემი ქვეყნის საწარმოო ძალები იმდენად იყო ხელოვნურად შევიწროებული, რომ თითქოს დავიწყებას მიეცა ის უბრალო ქეშმარიტება, რომ ვისაც ონიერი ქალაქი უნდა, მას სო-ფლისათვის უნდა მიეხედნა და ვისაც ძლიერი სასოფლო-მეურნეობა ანტერესებდა, მას ქალაქის მრეწველობისთვის უნდა ეზრუნა... ჩემს მეურნეობაში ასებული პირობები თავის გავლენას ახდენდა ადგი-ლობრივ ვაჭრობაზედაც. გაღარიბებული მოსახლეობა ერთობ ცუდი მყიდველია ქარხნის ნაწარმოების. ასეთ ღონეშედ დაწეული ერი იძულებულია შინ გაიკეთოს, რაც შეიძლება მეტი იმ საქანლისა, რაც მას სჭირდება და ამით იგი ხელოვნურად ნატურალურ მეურ-ნეობას უბრუნდება. აი მიზეზი იმისა თუ რატომ ცერ გაჩნდა ჩემში მსხვილი ვაჭარ-სოფლაგარი, რომლის გამდიდრების გზა ყველგან ერთია: იგი თვითონ არა ქმნის ახალ ღირებულებას, ის არის მხო-ლოდ შუამაგალი მწარმოებლის და მსყიდველის შორის და რამდე-ნადაც ეს მსყიდველი, ე. ი. ადგილობრივი მოსახლეობა, ყიდულობს მათს ნაწარმოებს, ფაბრიკ-ქარხნებში დამუშავებულს, იმდენად უფ-რო მეტი ფული გროვდება ვაჭართა კლასშიც. საქართველოს ეკო-ნომიკურს პირობებში ამ კლასს ვერ დაიგროვა მაინც და მაინც დი-დი ფულადი სიმდიდრე და ვერც ის მოხერხა, რომ უფრო ზევით ამაღლებულიყო და ნაწილობრივად, მრეწველთა კლასსად გადაჭცეუ-ლიყო. თუ მის წინა დორის სტატისტიკურ მასალას გავეცნობით, ადგილობრივი მრეწველობის მდგომარეობის შესახებ ასეთს სურათს ვიხილავთ.

1912 წელს, ჩემნებური ქარხნებ-ფაბრიკების შთელი ნაწარმოები შეფასებული იყო რაღაც 24.608.700 მანეთად; ყველა ეს ნაწარმოე-ბი არ იყო მხოლოდ ადგილობრივი კაბიტალის მიერ გამომუშავე-ბული. ჩემნი ანგარიშით, ნაწარმოების მთელი 48% არა ადგილო-

ბრივ კაპიტალს ეკუთვნოდა და მხოლოდ 52% იყო გამომუშავებული შინაური კაპიტალის მიერ. აქ ყურადღებას სულ პირველად ის გარემოება იქცევს, რომ ადგილობრივი კაპიტალის მონაწილეობა ჩვენს მრეწველობაში ერთობ სუსტობდა. ეს ჩვენებური წარმოება იმდენად მარტივია, რომ იმისი სავსებით აშევა საკუთარის ძალებით, უცხოელების დაუხმარებლათაც, არ უნდა გასძნელებოდა ჩვენებურს კაპიტალისტებს.

ჩვენ შევეცადეთ გაგვეგო რა მონაწილეობა ეკუთვნოდა ადგილობრივ კაპიტალში კერძოთ ქართულსა და სომხის კაპიტალებს. თქმა არ უნდა, რომ ასეთი გამოანგარიშება არ არის ადვილი, მეტადო აქ, უცხოეთში, როდესაც ყოველ-გვარ მასალების ნაკლუვანობას განვიცით. აი დაახლოვებით, რა სურათი წარმოგვიდგება :

ქართულს კაპიტალზედ მოდის

სამრეწველო ნაწარმოები — 6.777.200 მან.

სომხის კაპიტალზედ მოდის . . . . — 6.050.500 მან.

სიფრთხილისთვის მივიღოთ, რომ ეს მონაწილეობა თანასწორად ხდებორია და არა ისე, როგორც მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს. ჩვენგან შეკრებილი მასალები იმასაც ამბობენ, რომ სომხის კაპიტალი საქართველოში უმთავრესად თამბაქოს მრეწველობაში იყო ჩამული, ქართველებისა—მარგანეცში, ტყის საქმეში, მელვინეობაში. ტყავის წარმოებაში ორთავე კაპიტალი თითქმის თანასწორია. უმთავრეს მიზეზად ჩვენში მრეწველობის მცირე განვითარებისა ისევ რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა რჩება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ჩვენებური ვაჭარ-სოველაგარნი ვერ ავიდნენ მრეწველთა საფეხურზედ იმ მიზეზებით, რომ ფულის „გაკეთებას“ მის დაგროვებას ისინი ამჯობინებდენ მევახშეობას, რასაც იოლად აწარმოებდენ თვის წვრილ მაშტაბიან ვაჭრობასთან ერთად. მევახშეობას ჩვენში ბოლომდე კარგი დარი უდგა; საუბედუროთ ჩვენებური ბანკები უფრო ჩეირ-კედელობდენ, და არ წარმადგენდენ მსხვილ საკრედიტო აპარატს. ისინი უმთავრესად ქალაქებში ეშსახურებოდენ, მუდამ შიშობდენ კრედიტი სოფლისათვისაც მიეწოდებინათ, იმ სოფლისათვის, სადაც ინტენსიფიკაცია, ასე თუ ისე, ფეხს იდგამდა და კრედიტთა მიშველებას ითხოვდა. სოფელი მევახშეების ამარათ იყო მიტოვებული, და ეს ძვირი კრედიტი ერთ დიდს მიზეზათაც გახდა ჩვენი სასოფლო-მეურნეობის ნელის ნაბიჯით სვლისა.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს იძულებულნი ვართ, ამ ეტიუდში ნათქვამით დავემაყოფილდეთ, თუმცა ვაჭრობა - მრეწველობის ისტორია საქართველოში საინტერესოც არის და თვისი შინაარსითაც საკმაოდ მდიდარი.

საქართველოს ისტორიულს ანალებში შენახულია სახელები იმ ქართველ ვაჭარ-სოვლავრებისა, რომელნიც წარსულში დიდს ვაჭარობას აწარმოებდენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნებში. ამ ისტორიიდან იმასაც ვგებულობთ, რომ კონსტანტინოპოლის ბედის ცვალებადობა დიდს გავლენას ახდენდა საქართველოს ვაჭრობაზედ. ცვალებადობა დიდს გავლენას ახდენდა საქართველოს ვაჭრობაზედ. ისმალებმა სტამბოლი რომ დაიჭირეს, ჩევნი ქვეყანას მოესპონ სამართლებრივ პუნქტის მნიშვნელობა და ამას ის მოჰყვა, რომ ჩევნი ტრანზიტო პუნქტის მნიშვნელობა და ამას ის მოჰყვა, რომ ჩევნი ქეყანაში თან და თან ქრება ტიპი დიდ უნარიანი ვაჭრისა და მის აღვილს წვრილი ვაჭარი იქნება.

მთელი მე-19 საუკუნე წვრილ ვაჭართა რიცხვის ზრდაში გადის. უკანასკნელთა შორის ქართველები თან და თან მრავლდებიან; ესენი ჯერ მცირე დაბა-ქალაქებიდან ახევინებენ უკან არა ქართველ ვაჭრებს, რომელთა ნაშთი დიდს ქალაქებში გადადის. ქართველი ვაჭარ-სოვლავრი მაღა აქაც იყიდებს ფეხსა. მეოცე საუკუნე ქართველ ვაჭართა უფრო დიდ გაძლიერების სურათს იძლევა; ამნაირსავე სურათს ცხედავთ მრეწველობის დარღვში.

სამოცდაოთიან წლებში საქართველოში (გორის მაზრაში) აშენდა პირველი შუშის ქარხანა. იმისი დამტყები იყო ქართველი მემამულე თავ. ელიზბარ ერისთავი. ევროპიული წესებით სპირტის გამოხდა და კონიაკის კეთება პირველად ქართველმა მრეწველმა დ. სარაჯი-შვილმა შემოილო. ტყის ინდუსტრია, ეს უძნელესი და ურთულესი წარმოება, ისევ ქართველებმა დაიწყეს გიორგი ქართველიშვილმა და ასლ. ოქრომჭედლიშვილმა. მათ დიდი წინასწარი სამუშაო მოახდინეს. გაიყვანეს შოსეები და რკინის-გზები. გაწმინდეს მდინარეების კალაპოტები, რამაც დიდი კაპიტალის ჩაბნევა მოინდომა. ტიპოგრაფიის და ლიტოგრაფიული საქმეც ევროპიულად ქართველკ. მესტიშვილმა მთაწყო პირველად. კარგი ლვინის ღაყენებამ ქართველ ღვინოს დიდი სახელი გაუთქვა უცხოეთში. როგორც ერთი კურიოზი აქ მოსატანია კიდევ ერთი ამბავი. ბაქოდან გაუწმენდავი ნავთის შემოტანა საქართველოში პირველად ორმა ქართველმა მოაწყო. ეს ექსპორტი იმ დროს აქლემებით ხდებოდა, რაღაც იმ დროს არც რკინის-გზა იყო გაყვანილი და არც შოსე.

მარგანეცის წარმოებაში ქართველების კაპიტალი იყო არა ნაკლები ორმოცი პროცენტისა; ამ მრეწველობამ მოგვცა არა ერთი საქმეში ღრმად ჩახედული მრეწველი. თუმცა ნავთის წარმოება ჩევნში ჯერ არ იყო დაწყებული, მაგრამ ბაქოს ნავთის წარმოებაშიც გამოჩენდება საკმაოდ ღონიერი ქართველი მრეწველები.

ქართველების, ინდუსტრიაში მონაწილეობის მიღება არ იყო მათთვის რაღაც უჩვეულო ამბავი.

საქართველოდან უძველეს დროიდან გაქონდათ უცხოეთში

ჩვენში გადამუშავებული და გაკეთებული „მანუფაქტურა“, აწინდელი ტერმინით რომ ვიხმაროთ. ისტორიკოსი გეროდოტი მოწმობს, რომ ქართული ხელის-ქსოვილები არათრით ჩამოუვარდებოდა ევვიპტელ ქსოვილებათ.

კანაფის ქსოვილები, საქართველოში ნამუშევარი უცხოეთში გატანილი სტრაბონასაც უნახაეს. ქართული ბაშეულის ქსოვილები უკვე მეცამეტე საუკუნეში გვხვდება.

### გიორგი ჭურული.

(გაგრძელება შემდეგ).

## ბ. ალ. ასათიანის მოსსენება.

ამა წლის იანვრის 7-ს, „მიუზე სოსიალ“-ის დარბაზში ბ. ალ. ასათიანმა ფრიად მნიშვნელოვანი მოხსენება გააკეთა. როგორც ყოველთვის, მის მოხსენებას ქართული კოლონია თითქმის მთლიანად დაესწრო და ღიდის ყურადღებით მოუსმინა. მრავალი აღმოჩნდა მსურველი თავიანთი აზრი გამოიტქვათ მომხსენებლის მიერ აღძრულ საკითხებზედ. ამან გამოიწვია მეორე კრების დანიშვნა და კიდევ ვერ ამოიწურა ორატორთა სია. ბ. ალ. ასათიანი მართლაც ერთად-ერთი პიროვნებაა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, რომელიც სანგამოშვებით გამოდის ქართულ კოლონიის წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით. სხვა პოლიტიკური მოღვაწენი და ჯგუფები ვიწრო წრეებში და უფრო კულისებში აგვარებენ პოლიტიკურ მორიგების საკითხებს, ქართული კოლონიის აზრის მოსმენა მათ საჭიროდ არ მიაჩნიათ. ბ. ალ. ასათიანი და ერ.-დემ. პარტია კი მუდამ ქართული კოლონიის წინაშე ახთილად აყენებენ ქართული პოლიტიკის ძირითად საკითხებს. ჩვენის აზრით, ქართული კოლონია პოლიტიკურ ემიგრანტთა ორგანიზაციაა და მას არ უნდა დაუკარგოთ მისი პოლიტიკური ხასიათი. დღევანდელი საერთაშორისო და ეროვნულ დიდი გარდატეხების მომენტში ბ. ასათიანის ეს მოხსენება მეტად დროული და დიდმნიშვნელოვანია. მის მიერ გამოთქმული აზრისი, შესახებ ჩვენი ეროვნული პოლიტიკისა, დადებითად იქმნა შეფასებული ყველა მიმართულებისა და პოლიტიკური წრეების მიერ გარდა იმ მარქსისტულ-სექტანტური ჯგუფისა, რომელიც კლასთა ბრძოლის დროშით მოვიდა ქართულს ასპარეზზედ და კლასთა ბრძოლის დროშითვე ფიქრობს ქართული ეროვნული ცხოვრების წინამდობას.

ბ. ალ. ასათიანის მიერ გამოთქმულმა აზრებმა და დებულებებმა ხორცი უნდა შეისხას იმ წრეების აქტიური მონაწილეობით, რომელ-ნიც მათ. იზიარებენ, ეს აუცილებელია, იმისთვის, რომ ჩვენი ეროვ-ნული პოლიტიკური მოძრაობა, ნამდვილ საღ ეროვნულ ცოცხალ მოძრაობად იქცეს. ეს კიდევ აუცილებელია იმისთვის, რომ ამ სა-ერთაშორისო ორომ-ტრიალში ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს.

თავის მოხსენებაში ბ. ალ. ასათიანი შეეხო ქართული პოლი-ტიკის უმთავრეს და შორეულ საკითხებს. მრავალი წვრილმანი სა-დაო კითხვების გვერდის ახვევით და ქართული ცხოვრების და პო-ლიტიკის უმთავრესი ძარღვების გაშიშვლებითა და გაშუქებით, მო-მხსენებელმა ერთს მოხსენებაში მოგვცა ის, რასაც ხშირად მთელ წიგნებს ანდომებენ. ამ მთავარ კითხვებზე ბ. ალ. ასათიანმა მეტად საყურალებო აზრები და გაშუქება წარმოადგინა, ზოგიერთს შე-მთხვევაში სრულიად ახალი და საკუთარი.

ბ. ასათიანმა თავისი მოხსენება დაიწყო თანამედროვე ხალხთა ცხოვრებაში მომხდარ გარდატეხების საერთო განხილვით. მსოფლიო ომის შემდეგ, სულ ოციოდე წლის მანძილზე ხდება ხალხთა ეკო-ნომიური და პოლიტიკურ (ქოვრებაში ისეთი ლრმა ცვლილებები, რომლის მსგავს იშვიათად ჰქონია აგდილი მსოფლიო ისტორიაში, და როდესაც მომხდარა, ეს საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა. ამ დიდმა გარდატეხამ პოლიტიკურ აზროვნებისა და მსოფლმხედველობაშიდაც ლრმა ცვლილებები გამოიწვია. ასეთს ნიადაგზე წარმოიშვა რუსული კომუნიზმი და სხვა ქვეყნებში ნეო ლიბერალიზმი, ფაშიზმი და ნეო სოციალიზმი.

ამის შემდეგ მომხსენებელი შეუდგა საქართველოს სინამდვილის გაშუქებას და მივიღა იმ დასკვნამდე, რომესხვაგან რომ ცვლილებები მოხდა მსოფლიო ომისა და მძიმე ეკონომიური კრიზისების ნიადაგ-ზე, ამაზედ უფრო ლრმა გარდატეხას ჰქონდა ადგილი საქართველოს ეკონომიურსა და პოლიტიკურს ცხოვრებაში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე. საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წლებში და შეძლებული კომუნისტურ რუსეთის ბატონობის დროს ძირიან-ფესვია-ნად იქმნა გადატრიალებული ჩვენი ეკონომიური, პოლიტიკური, და კულტურული ცხოვრება და ვითარება. ყოველივე ამის ნიადაგზე 1921 წლის შემდეგ წარმოებულ ბრძოლებმა ძირებული გარდატეხა გამოიწვია ხალხის სულიერ განწყობილებაში, მის აზრსა და სულის-კვეთებაში. გარედან შემოტანილი მარქსისტული დოგმა საბოლო-ვოდ გაკოტრდა ხალხის თვალში, რადგან ხალხმა თავის - თავზე გა-მოსცადა მისი მწარე შედევები. და პარ მარტი მარქსისტულმა დოგ-მამ, არამედ ყოველგვარი განყენებულმა დოგმამ და აზროვნებამ დაჲჰკარგა ნიადაგი ქართველი ხალხის თვალში; მწარე და მრავალ




გამოცდილებამ დაანახვა ხალხს განყენებული გეგმითა უსიცოცხლობა და მავნებლობა.

პოხსენებაში მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ იყო გაშუქებული ქართული პოლიტიკური აზროვნების გზები მე-19-ე საუკუნის მანძილზე. მესამე დასმა თავისი მოღვაწეობა და აზროვნება ამოწურა უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში. მარქსისტული დოგმის განალდება შეუძლებელი გახდა რეალურს ცხოვრებაში. სხვა გეზის ალება ამ დასმა ვერ შესძლო. ამან შექმნა უდიდესი კრიზისი ს.-დემ. პარტიაში დოგმა სინამდვილეს დაუპირდაპირდა და დამარცხდა. ამან წარმოშვა მდგომარეობა. როდესაც პარტიული მასსა, რომელიც პარტიაში მივიდა თავისი რეალური ამოცანებით, თავისი ხალხური სულისკვეთებით და მიზნებით, როგორც „ერთობა“ და რომელსაც არაფერი გაეგებოდა მარქსისტული დოგმის, მთელი ხალხის რეალურ ცხოვრების სინამდვილის ნიადაგს შერჩა, ხოლო პარტიის მარქსისტული შეთაურობა ძველებურად დოგმების ფარგლებში. ვერ დასცილდა და ეს დღემდე გრძელდება. 1921 წ. შემდეგ წარმოებულ ბრძოლებმა ეს გაორება კიდევ უფრო გააღრმავა. სოც.-დემ. პარტიის მასსა, რომელიც თავის თავს წინეთ „ერთობას“ უწოდებდა, მთელი მებრძოლი ერის ერთობას შეუსისხლეორცდა. უიმედოა ყოველივე ცდა მისი დაბრუნებისათვის მარქსისტული დოგმისა და დროშის ქვეშ. მომხსენებელის აზრით, ეს ახალი საერთოდ და ყველა წრეებში მომხდარი დიდი ეროვნული გარდატეხა არის სინტეზი ყველა ძველი მიმართულების, ძველი დასების; ეს ახალი დარაზმულობა წარმოადგენს ახალს, დიდს ეროვნულს დასს. ეს მეოთხე დასი დაშორდა ვიწრო აზრებს, ვიწრო იდეებს, კლასიურ და ჯგუფურ წვრილმან სულისკვეთებსა და ზრახვებს. მას ფართე პოლიტიკური პლატფორმა აქვს—საქართველოს სუვერენობა და მისი აშენება მთელი ერის, მთელი ხალხის საერთო ინტერესებისა და სურვილების მიხედვით, სოლიდარობისა და თანასწორობის საფუძველზე. სოციალურ დარგში სოფელი, სოფლის მეურნეობა მისი მთავარი დასაყრდნობი და გლეხური ინტერესი და სულისკვეთება მისი მთავარი შინაარსი, პოლიტიკური და სოციალური წყობის სხვა უფრო მეორეხარისხოვანი კითხვები ქართველი ერისათვის ამ უამად არ არსებობს. მისი ყურადღება მხოლოდ უმთავრესა და არსებითზეა შეჩერებული ამ განმათავისუფლებელი ბრძოლის ხანაში და მომავალშიდაც ის ამ საკითხებს არ მიუდგება განყენებული დოგმების საზომით, ასეთი გატაცება საბოლოოდ მიტოვებული აქვს მას, არამედ რეალისტური ანგარიშით და საზომით. ეს მთლიანი ეროვნული აზრი და სულისკვეთება ჩაეყარა საფუძვლადა, საქართველოში წარმოებულ ბრძოლებს, ამაზედ არის აშენებული საქართველოს მებრძოლი ფრონტი. ემიგრაციაში რომ დღემდე ვერ დაყარდა ასეთი მთლიანი ფრონტი, ორგა-

ნაზაციული და სულიერი ერთობა, ამის ვიზეზი ის არის, რომ უცხო-  
ეთში მყოფ სოც.-დემ. პარტიის მეთაურობა ვერ მიუახლოვდა სა-  
ქართველოში დამყარებულ ახალს სინამდვილეს და ძველებურად  
შეცყრობილია თავის ვიწრო მარქსისტული სულისკვეთებითა და იდე-  
ებით. ამის გამოსახულებაა ნ. უორდანის ნაწერები, სადაც ის ეგრო-  
პის მარქსისტებზე კიდევ შორს მიღის და მთელს მსოფლიოში მარქ-  
სისტულ პარტიების დამარცხების მიზეზად იმას სთვლის, რომ ისინი  
გაიტაცა ბურჟუაზიულ დემოკრატიულმა პოლიტიკით და ასცდენ  
კლასთა ბრძოლისა და რევოლუციონური მარქსიზმის გზებს. ნორ-  
უორდანის მიერ შეტანილი სოც.-დემ. პარტიის პროგრამის პროექტი  
ასეთს საფუძვლებზეა აგებული. სახელმწიფო უარყოფილია და მის  
ნაცვლად მიღებულია სასოფლო კომუნათა რაღაც კავშირი, მუდმი-  
ვი ჯარის ნაცვლად წარმოდგენილია „შეიარაღებული ხალხის“ გეგ-  
მა და სხ. მომხსენებელის შეხედულობით შეუძლებელია უცხოეთში  
ისეთი გაერთიანებული ფრონტის შექმნა, როგორსაც წარმოდგენდა  
თავიდან საქართველოს მებრძოლი ფრონტი, უკეთუ არ იქნება ჩა-  
მოხსნილი ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმიდან ასეთი  
მარქსისტული დროშა და იდეა. თუ ეს ამ უამაღაც შეუძლებელი გა-  
ხდება ემიგრაციაში, მაშინ აუცილებელი იქნება ამ მარქსისტული  
წრის გარეშე დარაზმეა და გაერთიანება საქართველოს მებრძოლი-  
ფრონტის პლატფორმის ნიაღაზე მდგომ ყველა ეროვნული  
ძალებისა და ნათელ ყოფა ყველასთვის შინ და გარედ, რომ ქართ-  
ველი ერი მტკიცედ შედგა თავის ისტორიულ საფუძვლებზე და იბრ-  
ძევის რეალური მიზნებისა და ამოცანებისათვის, როგორც შინ, თავის  
მიწა-შეაღწე; ისე ყველგან, სადაც ქარველობა მოიპოვება.

ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხები;  
მომხსენებელის აზრით, მოითხოვს, რომ გადასინჯულ იქმნას და შე-  
ვსებული ჩვენი ეროვნული პროგრამა საგარეო საკითხების სფერო-  
შიც. რუსეთის მიმართ ჩვენ აქომადე ვაწარმოებდით პასიურ, თავ-  
დაცვის პოლიტიკას. სამხედრო მეცნიერების მიხედვით ასეთი ტაქ-  
ტიკა იშვიათად იძლევა გამარჯვებას. ბ. ასათიანი ახასიათებს რუ-  
სულ პოლიტიკურ წრეების შეხედულებას საქართველოსა და სხვა  
დაპყრობილ ერების მიმართ. სამშობლოდან გადმოხვეწილი რუსის  
ემიგრაცია არ ჰყიქრობს ჩვენი ეროვნული უფლების ცნობას. მთე-  
ლი მათი აზრი და ფიქრი იმაზეა მიპყრობილი, რომ თუ მოსკოვს  
დაიბრუნებენ, თბილისიც უთუოდ მას შეუერთონ, სულერთია რა  
გზითა და რა საშვალებით. და თუ ასეთი სულისკვეთება პბუდებს  
კიდევ ყოველივე ძალასა და ნიაღა დაკარგულ ემიგრაციის ყველა  
წრეებში, არ უნდა გვქონდეს ილიუზიები, რომ რომელიმე რუსეთი,  
ეხლახდელი თუ სომავალი, შეიცვლის და დასტოვებს ასეთს გზას.  
ამის მიხედვით, ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლა და მოქავალი



ქართული პოლიტიკა ისე უნდა იყოს აგებული, რომ ჩვენი შესაძლებლობის ფარგალში გამოვიყენოთ ყველა საშვალებანი, რომ. რუსეთი თავის ბუნებრივ, ეროვნულ საზღვრებში იქმნეს მომწყვდეული და არ ჰქონდეს ყოველ მხრივ თარეშის საშუალება, როგორც ეს იყო უკანასკნელ საუკუნეთა მანძილზე. რუსეთის მეზობელი სახელმწიფოები უთუოდ ასე მიუდგებიან რუსეთის საკითხს, როდესაც მას რაიმე ხიფათი შეემთხვევა და ჩვენც და ჩვენს მდგომარეობაში მყოფ სხვა ერებასაც ასეთი გეგმა უნდა გვქონდეს. ქართველობას წინეთაც მცირე მნიშვნელობა არ ჰქონია რუსეთის საქმეში, და იმედია მომავალშიაც ასე იქნება.

მომხსენებელი პფიქრობს, რომ ჩვენი ეროვნული მიზნები გაფართვებას მოითხოვს, არა მარტო რუსეთის საკითხების მიმართ, სხვა უფრო ვრცელ მსოფლიო ასპარეზზედაც აქვს საქართველოს თავისი ისტორიული ინტერესი და როლი; საქართველოს როლი ფრიად დიდი იყო საუკუნეთა მანძილზე, როდესაც აღმოსავლეთის შემოსევები დასავლეთს წალევით ემუქრებოდა. შემდეგ როლები შეიცვალა, ხოლო ეხლა დასავლეთი ახალი გზების ძიებაშია აღმოსავლეთ - დასავლეთის ურთიერთობის ახალ ნიადაგზე დასამყარებლად. ინგლისი და საფრანგეთი უკვე პრაქტიკულად დააღვენ აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ უფრო ზომიერ და შემარიგებელ პოლიტიკას, ხოლო იტალია, მუსოლინის პირით, მთელს ახალს და დიდს გეგმას არდგენ ამ ორი დიდი სამყაროს ურთიერთობის დაფუძნებისა არა ძალისა და დამონების გზით, არამედ ინტერესთა შეთანხმებისა და შერიგების ნიადაგზე. საქართველოსა და კავკასიის როლი არა ნაკლები იქნება ამ მიმართულებით. საქართველოსა და კავკასიაში იყრის თავს ეს ორი სამყარო, გეოგრაფიულად, სულიერად და კულტურულად. საუკუნეთა მემკვიდრეობა ასე ადვილად არ ქრება, ქართველობას კვლავ შერჩა სახელი და გავლენა აღმოსავლეთის ქვეყნებში და დასავლეთსაც საკმაოდ დაუახლოვდა და დაუკავშირდა ის საუკუნეთა მანძილზე კულტურულადა და პოლიტიკურად.

ისედაც მოკლე გამოთქმული აზრების კიდევ მეტად შემოქლებულად გადაცემა მეტად ძნელია. ბ. ალ. ასათიანის მოხსენება ცალკე წიგნაკად იბეჭდება და მკითხველს მისი გაცნობის საშვლება ექნება.

7 და 12 იანვრის კრებებზე მოხსენებაში აღძრულ საკითხების შესახებ. სიტყვები წარმოსთვეებს: კ. გვარჯალაძემ, გ. კერესელიძემ, შ. ამირეჯიბმა, ვ. ნოზაძემ, ნ. ცინცაძემ, ი. ჭავჭანიძემ, გ. ერაძემ, ი. გოძეჩიამ, კ. სალიამ, პ. სარჯველაძემ, ნ. ურუშაძემ, ს. მენალარიშვილმა, რ. გაბაშვილმა, დ. ვაჩნაძემ, მ. არსენიძემ, გ. ცხაკაიამ. ჩაწერილთა სია ამით ვერ იქმნა ამოწურული და მომხსენებელმა აღუთქვა კრებას მესამე კრების მოწვევა, რომელზედაც ის დააყე-

ნებს კიდევ ზოგიერთ ახალს საკითხებს, რომლის გამო დარჩენილ ორატორებსაც ექნებათ თავის შეხედულობის გამოთქმის საშვალება.

სოც.-დემ. ორატორებმა კამათს ცალმხრივი მიმართულება მისცეს. მათ გვერდი აუხვიეს მოხსენებაში გამოთქმულ მთავარ დეპულებებს და მთელი თავისი გულისყრი მიაკიეს სოც.-დემ. პარტიის ღვაწლის აღნუსხვას. კ. გვარჯალაძემ უსაყველურა მომხსენებელს, რომ მან ვერ გაამართლა უწყებაში აღნიშნული დაპირება და კრიტიკის მთელი იარალი მიმართა ს.-დემ. პარტიის იდეოლოგიისა და საქმიანობის წინააღმდეგ: ორატორი ცდილობს ასეთი ცალმხრივობის შეესტებას და დაწვრილებით ჰმარტავს ს.-დ.-ის მოღვაწეობას საქართველოში და ამ პარტიის უმთავრეს ღვაწლად სთვლის იმას, რომ მან ქართველ ერს წერა-კითხვა ასწავლა, პოლიტიკურად აღზარდა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება შესაძლებლად გახადა და ნახევარი მილიონი რუსის ჯარი გაისტუმრა კავკასიის ფრონტიდან. ს.-დ. სხვა ორატორებმა სცადეს ამ აზრების კიდევ უფრო ვრცლად დასაბუთება. ხოლო ქართველ ნეო-სოციალისტების სახელით ვ. ნოზაძე იმ აზრისაა, რომ მომხსენებელმა ასი პროცენტით გაამართლა დაპირება და სავსებით სწორად გააშუქა საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხა და კერძოთ სოც.-დემ. პარტიის მნიშვნელობა. ორატორი ვრცლად ასაბუთებს იმ აზრს, რომ ს.-დემ. მასასა არასოდეს არ ჰქონია ნათელი წარმოდგენა იმ მარქსისტულ დოგმაზე, რომელსაც მას თავს ახვევდა მეთაურთა წრე, რომ მარქსისტულ პოლიტიკას ის ცხოვრებაში მიღებულ მწარე გაკვეთილებისაგან გაეცნო და ამის შემდეგ ის მას გაშორდა სავსებით და საბოლოოდ. ორატორი უარყოფს როგორც მარქსისტულ, ასევე ცველა გაქვავებულ - განყენებულ დოგმებს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრების მოვარებისთვის. ხალხური ცხოვრების ყოველივე წყობა და მოქმედების გეგმა ცხოვრების სინამდვილეს უნდა ეყიდვებოდეს და მაზედ უნდა შენდებოდეს. გრ. ცხაკაია და კ. სალია განსაკუთრებულად ეხებიან ს.-დემოკრატიულ პარტიის წარმოშობილს პოლიტიკის მარცხებს და 1921 წლის კატასტროფას. ისინი ამტკიცებენ, კუთრებულად ეხებიან სოც.-დემ. პარტიის მიერ წარმოშობილს პოსებითი ცვლილება არ მომხდარა. 5. ურუშაძე კმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ ბ. ასათიანი დრო გამოშვებით საჯარო მსჯელობის საგნად ხდის ჩვენი ეროვნული პოლიტიკის უმთავრეს საკითხებს და გამოსთქვამს სურვილს, რომ ამ უკანასკნელ გამოსვლას, რეალური პრაქტიკული შედეგები მოჰყვეს ჩვენი პოლიტიკის რადიკალურად გარდაქმნისათვის და მის ახალ რეალურ და საერთო ეროვნულ საფუძვლებზე აგებისათვის.

რ. გაბაშვილი უპასუხებს ს.-დემოკრატ ორატორებს სოც.-დემ. პარტიის პოლიტიკურ და კულტურულ როლის დაფასების გამო. ორატორი გაკვირვებას გამოსთვამს, რომ ს.-დ.-ები ასე გაბედულად იკვენიან რომ მათ ხალხს წერა-კითხვა ასწავლეს და პოლიტიკურად აღზარდეს. რომ ეს ასე ყოფილიყო, მაშინ მათი პოლიტიკა ყოველ-თვის მარცხანი, დამარცხებული არ იქნებოდა.

დ. ვაჩნაძე გაკვირვებას გამოსთვამს, რომ კამათი სწარმოებს ისეთი საკითხების გარშემო, რომელიც სრულიად არ შეადგენდა მოხსენების უმთავრეს აზრებსა და შინაარს. მოხსენება აშენებულია საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარების უმთავრეს მოვლენებზე. თუ საქართველოში მომხდარი უდიდესი გარდატეხები ჯერ კიდევ არ არის საცხოვით შეგნებული მთელი ჩვენი ემიგრაციის მიერ, იმას მაინც გაუწიოთ ჯეროვანი ანგარიში, რაც ჩვენს თვალწინ მოხდა. უკანასკნელმა წელიწადმა საქართველოს საგარეო მდგომარეობაში საგრძნობი ცვლილებანი შეიტანა პარიზ-მოსკოვის პატრმა გააუქმა საქართველოს საელჩო პარიზში და საფრანგეთში შეხიზულ ქართულ მთავრობას არსებობის ლეგალური საფუძველი გამოაცალა. ქართულ სოც.-დემ. პარტიის ციხე-სიმაგრე ეკროპაში მე-II ინტერ-ნაციონალი, საბოლოოდ ბოლშევიკურ რუსეთის დიქტატურის საპროპაგანდო და დამცველ ცენტრად გადაიქცა და ამასთან ერთად ყველა ქვეყნებში დასუსტდა და განადგურდა. გამოიკვდა ისიც, რომ წითელ მოსკოვს უდგება ხელსაყრელი დრო ერთა ლიგაში შესვლისა და მოსალოდნელია—ამ ახლო ხანში იგი დაიჭირა ამ დაწესებულება-ში სრულ-უფლებიან წევრის სავარძელს; აღმართ მოსკოვის გაჩენას უენევის სასახლეში თან მოჰყვება საქართველოს სახელის ნიშან-წყალის გაქრობაც. ეს ახალი თვალსაჩინო საგარეო გარემოებანი ავალებენ ქართულ ეროვნულ ემიგრაციას, ძირიანდ გადასინჯონ თავისი მოქმედების პოზიციები, მოაშოროს თავის წიაღს ყველა გამთიშავი მოვლენები და მტკიცე ერთობის პირის შეკვრით მისცემ ქართველობის მეტი ძალა და ღონე, აქაც და იქაც, მის ეროვნულ მიზნებისათვის გასცეცებულ ბრძოლის გაგრძელებისათვის. რომ ერთობა ერთად-ერთი ჩვენი მჭრელი და მსხელი იარაღია, ეს ხომ დღეს საქართველოში არც ერთ ქართველისათვის სადაცო აღარ არის. მხოლოდ ეს ჭრშმარიტება უცხოეთში, გადმოხიზნულმან. ეორდანიამ და მისმა მარქსისტულმა წრემ დაუსრულებელ სადაცო საგნად გახდა. როგორ გვესმის ჩვენ ქართული ერთობა? ისე როგორც ესმოდა იგი თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ერს, მრავალ საუკუნეთა მანძილზე: მუდამ გარშემორტყმული მრავალი მტრებითა პატარა ქართველი ერი ბუნებრივად მიიღო ტომთა და ძალათა გაერთიანებისაკენ, მიიღო ტომთა სრულ ეროვნულ მთლიანო-

ბისაკენ, მაგრამ ძლიერი მოსაზღვრე დიდ ქვეყნების ხან პატონობა, ხან გავლენა სხვა და სხვა სახითა მკაცრად ებრძოდა ქართველების ამ ბუნებრივ ლტოლვას. საქართველოს კუთხური დაყოფვა ბიზანტია-სპარსეთ-ოსმალეთის ბატონობის ხანაზ მოიტანა. რუსეთის გამეფებამ ამას კიდევ შექმატა წოდებრივი დაყოფვა; რუსულივე გზით ამ ორმოცი წლის წინედ საქართველოში ჩაიხიზა მარქსისტულ დოკტრინაზე დაყარებული მენშევიკურ - ბოლშევიკური კლასობრივი დაყოფვის საქმიანობა, რამაც, დიდ ომში შეებული და ახლად აღდგენილი მთლიანი საქართველოს თავისუფლება დაანგრია და ასე დალეწილი მოსკოვის დიქტატურის გადულოცა. არც კუთხურია, არც წოდებრივი, არც კლასობრივი დაყოფვა საქართველოსი, ერთობა ეროვნული და სოციალური. აი ნამდვილი ქართული ისტორიული ნიადაგი, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი თანამედროვე ბრძოლის პოლიტიკური გეგმები, ორგანიზაციები, მათი მოქმედება სიტკითა თუ საქმითა, როგორც შინ ისე გარედ. ამ უდავო ქართულ ერთობის დებულების პოლიტიკურ ფორმაში გამოსახვის უამბა დაჰკრა. ის რაც ამ უამბა არსებობს არ შეესაბამება არც იქაურ, არც აქაურ სინამდვილეს — არც შინაურ, არც საგარეო პირობებს. ხელოვნურად დაპირდაპირებულ პარტიათა და ჯგუფთა ეგოისტური პოლიტიკა უნდა შესცვალოს მებრძოლ ქართულ მამულიშვილთა კავშირის ფართო ეროვნულმა პოლიტიკამ. ალ. ასათიანის გამოსცვლა აშუქებს ჩვენს საშინაოა და საგარეო მდგომარეობას მთელ ჩვენ ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით და გვაწოდებს მომავალი. ჩვენი ბრძოლისა და მოქმედების გზას. დაგროვოთ წვრილმანი სადაო კითხვები, უდავო და მთავარ კითხვებზე ავაშენოთ ჩვენი ბრძოლა, ჩვენი საქმე. ეს სწორი გზაა, ერთად-ერთი რეალური პოლიტიკის გზა.

თავის საპასუხო სიტყვაში ალ. ასათიანი აღნიშნავს, რომ მოლაპარაკენი ნაკლებად შეეხენ მოხსენებაში გამოთქმულ შეხედულებებს ჩვენი საშინაო და საგარეო ვითარებათა შესახებ. თუ ეს იმის ნიშინა, რომ ეს აზრები დავის არ იწვევს, ეს ფრიად კარგი საქმეა. მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ ის აზრებსა და შეხედულებებს. რომელიც გამეფდა ქართველ ერში 1921 წლის შემდეგ, ქართველი ერის ახალს ეროვნულს პლატფორმას, ემიგრაციაშიაც ველარავინ ეწინა-აღმდეგება საჯ. როთ და ახდილად. ასევე უნდა ვიფიქროთ მოხსენებაში გამოთქმულს ახალს შეხედულებებზე ჩვენი საგარეო ეროვნულის პროგრამის შევსების შესახებ. რაც შეეხება ს.-დემ. პარტიის მოღვაწეობის ვითომდა ცალმხრივად დაფასების საყვედლურს, ეს სავსებით უსამართლოა. მე ვფიქრობ, ეს ღვაწლი მოხსენებაში უკეთ იყო აღნიშნული, ვიდრე აქ ს.-დ. ორატორების სიტყვებში. რა მოსატანია აქ წერა-კითხვის გავრცელების ამბები? თითო-ოროლა მეზობელს

უთუოდ ყოველი ქართველი ინტელიგენტი ასწავლიდა ან-ბანს, მაგრამ ეს რა პარტიული დამსახურებაა. ქართული წერა-კითხვა ახალს საქართველოში, ისევე ოფორც ძველადაც. ქართულმა ეკლესიამ გააჭრულა. შემდევ წერა-კითხების გამამრტულებელ საზოგადოებამ და მცირედ სახაზინო დაბალ სკოლებმა. დამოუკიდებლობის გამოცხადება შესაძლობელი გახხადეთო, ე. ი. ამას ხელი არ შეუშალეთო, რა დამსახურება? ის მთელმა ერმა მიიღო ერთსულოვნად და ს.-დემოკრატებმაც რომ ეს მიიღეს, ბუნებრივი და ნორმალური მოვლენაა, მაგრამ არა დამსახურება. ასევე ნახევარი მილიონი ჯარის გასტუმრების ლეგენდა. პოლონეთი 15 მილიონ ჯარმა გადაიარა, ფრონტიდან სახლში გაქცეულმა და ეს გაქცევა ვერავინ შეაჩერა. ჩვენში კი ზოგი ჰერიტაჟის, რომ კავკასიის ჯარებს დარჩენა უნდოდათ ჩვენში და ჩვენ ძალით გავრცელეთ. აზერბაიჯანში რომ დახვდენ ერთს ეშალონს. იმავე აპარატს და დახოცეს, ამის შემდევ რუსის ჯარი დაშინებული იყო ასე არ გვიყონო და ამაზე იყო აგებული მთელი ეს შიშიანობა. მაძლარი ფრონტიდან ჯარი ბრუნდებოდა სოფელში ყოველივე სიმდიდრით დატვირთული. მეტის წალება მათ არ შეეძლოთ და დამშეულ ქალაქებში მათ ძალითაც ვერავინ შერეკავდა. გასაგებია. რომ ექცესები მოსალოდნელი იყო ასეთი შიშის ნიადაგზე და ჩვენ მიერ მიღებული თავდარიგებაც გასაგებია, მაგრამ ამას არ გაუქცევია ნახევარი მილიონი ჯარი. სამი წლის შემდევ ჩვენ 30 ათასი შიშველ-ტიტველი რუსის სალდათიც ვერ გავაქციეთ, 1921 წელს, და ნახევარ მილიონს რას უზამდით? მომხსენებელი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მარქსისტულ იდეოლოგიას და პოლიტიკას საზოგადოთ და კერძოთ მის ყოვლად უცნაურ გამოსახულებას საქართველოში, აქ არც ერთი დამცველი არ აღმოუჩნდა. ამავე დროს ის ძველებურად ბატონობს სოც.-დემ. გამოცემებში და მათს ორგანიზაციებში მას კვლავ იცავენ, როგორც წინეთ, ასეთს ორმაგს პოლიტიკას, ერთს ახდილს და მეორე ფარულს, ბოლო უნდა მოელოს; საქართველოს მთლიანად, და იმათაც ვინც წინეთ ს.-დემ. პარტიას მიჰყებოდა, ერთი დროშა აქეს, ერთი პლატფორმა და ერთი მიზანი. ემიგრაციაშიც ასევე უნდა მოხდეს. მარქსისტული დროშის ქვეშ ჩვენი მტერი სდგას და იმავე დროშას ვერ დავტოვებთ ჩვენი ეროვნული ბრძოლის სათავეში, თუნდაც აქ ემიგრაციაში. მარქსისტოლ წერს განებიგრებული ქალის ხასიათი შეუმუშავდა. ჩვენ მათ წინააღმდეგ ღვარძლიან და გაბოროტებულ პოლიტიკის გზას არ ვადგივართ და რაც უდავო სინამდვილის კარნხია და მოთხოვნილება, ეს მათ უნდა მიიღონ გაუმწყრალად და გაუბუტავად. ჩვენ არა მარტო მარქსისტულ დოგმას, უმხედრდებით, არამედ ყოველგვარ დაქაშესულობის შემტანს ზრახვებს, წოდებრივს, კუთხეურს თუ ჯგუფურ სექტანტიზმს. სულ მცირე რიცხოვანი ჯგუფებია ასეთი ვიწრო

სულისკვეთებით შეცყრობილი და მას ვერ ავამლვრევინებთ საერთო ეროვნული მიზნებით გამსჭვალულს და ეროვნული მთლიანობისა და სოლიდარობით შედუღებულ ერს.

კრების თავმჯდომარებ ბ. გორგი გვაზავამ მოკლე სიტყვაში აღნიშნავს ბ. ალ. ასათიანის მოხსენებაში აღძრულ კითხვების უაღრეს მნიშვნელობას იმ განსაკუთრებულ საშინაო და საგარეო პირობების გამო, რომელშიდაც მოექცა ქართველი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლა. მოხსენებაში აღძრულ კითხვებთან დაკავშირებით თავმჯდომარე საჭიროდ სთვლის, რომ პარიზის ქართველების კრებამ შეეხს რუსეთის ერთა ლიგაში შესვლის საკითხს, რომელზედაც ამ უამად დიდი მოლაპარაკებები სწარმოებს. ბ. გვაზავამ წარუდგინა კრებას ამ საგანზე კრების დადგენილების პროექტი, რომელიც მცირე კამათის შემდეგ კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

დამსწრე.

## საქართველოს საკითხი

ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა საერთაშორისა კავშირი.

12 თებერვალს ქ. ბრიუსელში მოხდა კრება ხსენებული კავშირის „იურიდიული და პოლიტიკური კომისიისა“.

კრებას დაესწრნენ დელეგატები ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოებისა, აგრედავ წარმომადგენელნი იაპონიის და ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებისა. თავმჯდომარეობდა ბ-ნი ლიმბურგი, ჰოლანდიის ყოფილი მინისტრი.

ამ კრებაზე ქართულ საზოგადოების დელეგატმა ბ-მა გ. გვაზავამ, შემოიტანა შემდეგი განცხადება:

„ადადგუნილება ერთა ლიგის დამხმარე ქართული საზოგადოებისა. ერთა ლიგის დამხმარე ქართული საზოგადოება, საგანგებოდ მოწოდების 3 თებერვალს 1934 წელს პარიზში, იმ შემთხვევისათვის. თუ ჭინორიბა საბჭოთა რესიტმა მოათხოვა ერთა ლიგაში შესვლა, ღებულობს რა მხედველობაში, რომ:

1. საქართველო, რომელიც ოცი საუკუნე იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, გაუქმებული იქნა, როგორც თავისუფალი სახელმწიფო 1801 წელს, რუსეთის ძალმომრეობით, მიუხედავათ 1783 წელს ღებულობის ხელშეკრულობისა;

2. 26 მაისს 1818 წ. საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებელი უკიდებლობის აღდგენა და ეს აქტი ერთხმად დამტკიცებული იქნა დამუჟმნებელიკრების მიერ, რომელიც არჩეული იყო საყოველთაო ხმის მიცემით;

3. 7 მაისს 1920 წ. დადებული ხელშეკრულების ძალით, რო-

სეთი ყოველი დავის გარეშე სკნობს დამოუკიდებლობას და სუვარენობას საქართველოს სახელმწიფოსას და ხელს იღებს სრული თავისი ნებაყოფილობით ყოველ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთხნოდა რუსეთს საქართველოს ერისა და ტერიტორიის მიმართ;

4. 27 იანვარს 1921 წ. საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილ იქნა დე-იურუ უმაღლეს საბჭოში შემავალ ყველა სახელმწიფო ების მიერ და აგრეთვე ბევრი სხვა ქვეყნების მიერ;


5. არ გასულა ერთი თვეც ამის შემდეგ, რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და დაიჭირა მთელი მისი ტერიტორია, მიუხედავად საერთაშორისო დადებული ვალდებულებისა;

6. 22 საქტემბერს 1922 წ. და 25 საქტემბერს 1924 წ. ერთა ლიგის საზოგადო ყრილობაში მიიღო ერთის და იმავე შინაარსის დადგენილება, რომლითაც იგი „ავალებს თავის საბჭოს ყურადღებით თვალყური ადევნოს გარემოებათა მსვლელობას ქვეყნიერობის ამ ნაწილში და არ გამოუშვას ხელსაყრელი შემთხვევა, რათა მშვიდობიანი გზით და თანახმად საერთაშორისო უფლების პრინციპებისა, აღდგენილ იქნას საქართველოში ნორმალური მდგომარეობა“;

— უმორჩილესად თხოვს ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა საერთაშორისო კავშირს მიაქციოს ერთა ლიგის ყურადღება საქართველოს მდგომარეობას დაიმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მიისურვებს ერთა ლიგაში შესვლას, თვით მიიღოს ზომანი, რათა აღდგენილ იქნას საქართველოს სუვერენობა, საერთაშორისოდ ცნობილი, მაგრამ გაუქმდებული რუსეთის თავდასხმით; ამ რიგად ხელი შეუწყოს იმ პრინციპების გამარჯვებას, რომელზედაც აგებულია თვით ერთა ლიგა“.

#### თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საქართველოს დელეგატს.

გიორგი გვაზავა. მე დასამატებელი ბევრი არა მაქვს რა: ისტორიას არ ახსოვს ისეთი შელახვა ყოველი დამოუკიდებელი ერის ძირითადი უფლებისა, როგორიც ჩაიდინა რუსეთმა საქართველოს მიმართ. მიუხედავად საერთაშორისოდ მიღებული ვალდებულებისა, რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, განდევნა იქიდან კანონიერი მთავრობა, დაიჭირა მთელი ტერიტორია და ჩააყენა მთელი ერი ისეთ პირობებში, რომ იმას შეძლებაც არა აქვს თავისუფლად ხმა ამოილოს. საქართველოს ისტორიამ მთელი კაცობრიობის წინაშე დააყენა ერთი ტრალიკული საკითხი: შესაძლებელია თუ არა არსებობა პატარა სახელმწიფოსი დიდ სახელმწიფოს გვერდით? თუ აგი უნდა გახდეს მსხვერპლი დიდი სახელმწიფოსი მხოლოდ იმიტომ, რომ არა აქვს საკარისი ტყვია და ზარბაზანი, რომ დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა? აქვს თუ არა რამე ძალა საერთაშორისოდ დადებულ ხელშეკრულობას ან საერთაშორისო ცნობას? ბატონებო, ყვე-



ლა ეს კითხვა შეეხება იმ ძრინციპებს, რომელზედაც აგებულია თვით ერთა ლიგა, რომლის დამხმარე საზოგადოებას ჩვენ წარმოვადგენთ. მე დარწმუნებული ვარ, აქ არავინ იქნება წინააღმდეგი თხოვნის, რომ საქართველოს საკითხი დასმულ იქნას დღის წესრიგში, ჩვენი კავშირის საერთაშორისო კონგრესზე...

**თავმჯდომარე.** მგონი შარშანწინ ჩვენ კიდეც მივიღეთ ამისთანა რეზოლუცია?

- **გიორგი გვაზავა.** შარშანწინ ჩვენ მივიღეთ რეზოლუცია საზოგადო საქართველოს მდგომარეობის შესახებ. ეხლანდელი ჩემი თხოვნა კი გამოწვეულია იმ ხმებით, რომ ვითომდა რუსეთი აპირებს ერთა ლიგაში შესვლას. ერთა ლიგაში შესვლა კი ნიშნავს რუსეთის საზღვრების საერთაშორისო ცნობას, მაშასადამე პირაპირ ეხება საქართველოს ბედს; ჩვენ არ შეგვიძლია ხმა არ ამოვილოთ.

**პროფ. ე. სელი** (საფრანგეთი). მე მგონია, აქ სადავო არაფერია.

**ბ. იაკოვლევი** (უკრაინა). მე საესებით მხარს ვუჭერ შემოტანილ წინადადებას.

**ბ. სტინსკი** (პოლონეთი). მე ვურჩევ ჩემს მევობრებს ქართველებს, თუ ვინცობაა რუსთი მოინდომებს ერთა ლიგაში შესვლას, ნუ გაუწევენ მას წინააღმდეგობას და ნუ წამოაყენებენ ასეთ კითხვას, რომელმაც შეიძლება შეაფეროს მისი ლიგაში შესვლა. ეს უფრო სასარგებლო იქნება თვით ქართველებისათვის.

**გიორგი გვაზავა.** ჩვენ არასოდეს აზრად არ მოგესვლია წინააღმდევობა გავუწიოთ რუსეთის შესვლას ერთა ლიგაში; ჩვენ ვართ ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოება და ვიცით, რაც უფრო ფართო, უფრო უნივერსალურ ხასიათს მიიღებს ერთა ლიგა, მით უფრო ადვილი იქნება განხორციელება ერთა ლიგის იდეალებისა. რუსეთის შესვლა ერთა ლიგაში ჩვენთვისაც დიდათ სასარგებლოა, მაგრამ თავის-თავად ცხადია, მასთან ერთად დაკავშირებულია საქართველოს საკითხიც. ვერც იურიდულად, ვერც პოლიტიკურად თქვენ ვერ მოხსნით ერთ საკითხს მეორისაგან. როცა ერთი დგება, თავის-თავად იჭრება მეორეც. ჩემი თხოვნაც სწორედ ეგ არის: მიაქციეთ ერთა ლიგის ყურადღება ამ გარემოებას, სხვა არაფერი. თხოვნა, როგორც მოგახსენეთ, ემყარება თვით ერთა ლიგის დადგენილებას.

**თავმჯდომარე.** ვის უნდა კიდევ სიტყვა? სიტყვა არავის უნდა. — კენჭს ვუყრი: ვინ არის წინააღმდეგი შემოტანილ წინადადებისა? — წინააღმდეგი არავინ არის.

გაშასადამე, საქართველოს საკითხი შეტანილი იქნება ღდის წესრიგში ჩვენი კავშირის მომავალ საერთაშორისო კონგრესზე.

## პ რ ე ს ა

მარქსის გაცოტრება. ჟურნალ «*Nouvelles littéraires*»—ში მოთავსებულია უულიან ბანდას მიერ მარქსიზმის კრიტიკა, რომელიც აქ მოგვყავს მთლიანად:

„მარქსმა სთქვა—ისტორიულად რომელიმე ეკონომიური სისტემა ფეხს იდგამს მას შემდეგ რაც მისი წინამორბედი ეკონომიური სისტემა მიაღწიეს თავის განვითარების უკიდურეს წერტილს და ამოსწურავს მთელს თავის შინაარსს;—რუსეთში კაპიტალიზმი მხოლოდ გაფურჩქვნის პროცესი იყო. როცა იგი განადგურებულ იქმნა მოწინააღმდეგე სისტემის მიერ.

— რომ სოციალიზმი მოვლინა კაცობრიობას, როგორც ოპოზიცია კაპიტალიზმისადმი:— სოციალისტური იდეები უძველეს ისტორიულ ხანის წინა დროიდან მომდინარეობენ.

— რომ მილიტარიზმი არსებითად და განსაკუთრებით დაკავშირებულია კაპიტალიზმთან:— მილიტარიზმი — არსებობდა კაპიტალიზმის წინა ხანაში და იგივე მილიტარიზმი ყვავის დღესაც ხაბჭოთა რუსეთში.

— რომ ჩვენ მოვესწრებოდით ქნებისა და კაპიტალის კონცენტრაციას რამდენიმე კაცის ხელში:— ჩვენ მოწამენი ვართ წვრილ მესაკუთრეთა რიცხვის დიდი სისწრაფით ზრდისა.

— რომ კაპიტალის კონცენტრაციასთან პარალელურად მოხდებოდა მასიური გაპროლეტარება, რასაც უნდა მოჰყოლოდა კლასთა ბრძოლის უაღრესად გატხოველება:— ჩვენ მოწამენი ვართ კლასთა ურთი-ერთ თანხმობის გაძლიერებისა და რევოლუციონური სულისკვეთების შესუსტებისა; არ მოხდა მსოფლიო პროლეტარიატის შეერთება; ამერიკისა და ავსტრიალის მუშათა სიძულვილი ევროპის მუშებისადმი უდაო ფაქტია; სხ. და სხ. დარგის მუშათა შორის წინააღმდეგობა უფრო ძლიერია, ვინემ მუშათა კლასისა და კაპიტალის შორის.

— რომ მოხდებოდა სასოფლო-მეურნეობის უაღრესი ინდუსტრიალიზაცია:— ჩვენ ვერაფერს ვხედავთ ამისდამაგვარს.

დაბოლოს, მარქსის აზრით, თითქოს სოციალისტისათვის უცხო ყოფილიყოს სამშობლოს იდეა, არ გამართლდა. სოციალისტთა დიდი ნაწილი წავიდა ნაციონალურის გზით და განაციონალისტდა“.

მარქსის „მეცნიერული“ სოციალიზმი სასტიკად დაამარცხა რეალურ ცხოვრებასთან შეხვედრამ. აქედან წარმოშობილს ფაქტებზედ დაფუძნებულს უულიან ბანდას მოხდენილსა და მკეთრს კრიტიკას ვერ უძლებს მარქსის „მეცნიერული“ სოციალიზმი. ოდესლაც ფან-

ტასტიური იდეებით მდიდარი მარქსი—იდეურად გაპროლეტარებულია და გაკოტრებული.

**სახელმწიფოს აღდგენა.** უურნალ «L'Echo de Paris»-ში მოთავსებულია ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის ლუი მადლენის სტატია „სახელმწიფოს აღდგენა“: მოგვყავს ამ სტატიის დამახასიათებელი ადგილები:

„მე არა მგონია, რომ ჩვენი ერი, რომელსაც მობეზრდა თანამედროვე პარლიმენტარული რეჟიმი, ოცნებობდეს იტალია ისებურს ან უერმანულს ფაშიზმზედ. საფრანგეთს არა ჩვევაა სხვისადმი მიძახვა. ჩვენ არ გვინდა ბრმად ჩაუვარდეთ ხელში რომელიმე გაბედულს პიროვნებას, ვინაიდან ჩვენ არ ვერდობით ხეალინდელს დღეს. ჩვენი ერის თვისებაა, ძლიერი ულტინების უემდეგ, ახალისა და ძველის სინტეზში ეძიოს თანასწორობა. მე ლრმად მრწამს, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა, რომელსაც სურს თჯისი სახელმწიფო წყობის განახლება, შორს არ გაჰყება გრძნობათა დელვა-აღტკინებას.“

კომიკურია რადიკალების მდგომარეობა, რომელნიც წინად გაუინებით მოითხოვდნენ კონსტიტუციის გადასინჯვას; უფრო კომიკურია სოციალისტთა მდგომარეობა, რომელთა პრეტენზია არსებული რეჟიმის გადაყირავება. ამ თრ ბანაკში გაისმა, შემშეს ხმა, იმის გამო რომ პატივცემული ან. ტარდიე მოითხოვს კონსტიტუციის ორი თუ სამი მუხლის შეცვლას, რომელსაც მხოლოდ შეუძლიან აგვაშოროს ზედმეტი მღელვარება და კატასტროფა.

მესაფრანგეთის სახელმწიფო ძლიერ დავადებულია, ვინაიდან მისი სული და აზრი ცუდის გზით მიიმართება. ადგილი აქვთ სახელმწიფოს მიერ უზურპაციას, ეროვნული ცხოვრების უკერავით დარგებში, რომელნიც ნახევრი საუკუნის წინ მინდგბილ იქმნა სახელმწიფოსადმი, მხოლოდ მთარველობისათვის. სახელმწიფომ ხელი დაადი ყველა; ამ სამეცნიერო, სამრეწველო-საგაჭრო დარგებს; სახელმწიფომ მოინდომა გამხდარიყო, მრეწველი, ვაჭარი, მეურნე. ამ წამოკიდებული ტვირთის ქამითმის ქვეშ იქცლითება იგ. ყველა ამ დარგებს რომ გაუქმდეს, სახელმწიფო უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვინენ წინად, მაგრამ, ის თანდათან სუსტდება. სხვადასხვა სინდიკატების მიერ მასტერ მიტანილ იერიშებს ვერარ უძლებს; საყურადღებოა, რომ ამ სინდიკატებში თავს იყრიან სახელმწიფოს მოხელენი, რომელთა მოვალეობაა — სახელმწიფოს ინტერესების და (ა.) სინდიკატები კარნაბობენ კანონებს; სინდიკატების გავლენას განიცდის სახელმწიფოს აღმართულებელი და კანონმდებელი ორგანოები. სახელმწიფოს მმართველობის თანამედროვე ფორმა აღარ არის რესპუბლიკა, არამედ ანარქია.



პარლამენტარული რეფიმი მცდარი გზით მიიმართება. პარლამენტი კანონმდებლობს სინდიკატების ძლიერი გავლენის ქვეშ; პარლამენტი უზურპაციას ახდენს აღმასრულებელ ორგანო-მთავრობაზედ.

ერთ გრქობს რომ ყველა ამ უზურპაციათა—სახელმწიფოს მიერ კერძო წამოწყებათა, სინდიკატთა მიერ სახელმწიფოსი, სახელმწიფო მოხელეთა მიერ იმავე სახელმწიფოსი; პარლამენტის მიერ მთავრობისა—შედევრია ის არევ-დარევა და დომხალი, რომელსაც საზღვარი უნდა დაედოს. ერს სურს დაუბრუნოს სახელმწიფოს მისი ნამდვილი დანიშნულება—უმაღლესი და ძლიერი არბიტრისა. აქედან გამომდინარეობს ერის წადილი ავტორიტეტისადმი. ერს სურს სახელმწიფოს აღდგენა, მისი ჩაბარება ღირსეული ავტორიტეტისადმი, რომელსაც გახსნილი უნდა ქონდეს ხელი მართვა-გამგეობისა და საჭირო რეფორმებისათვის. ერთი ხელობპრობელი ყველა სადაცეთა, უკონტროლო და შეუზღუდველი—დიქტატორი? ერი მასიურად ყოყმანობს და ვერ ბედავს მის მოთხოვნას, მაგრამ მისი წონასწორობის ტრადიცია მიმართავს მას ექცევს მართველობის სისტემა, რომელშიაც მორიგდება—განსახიერდება ძველი პარლამენტარული რეფიმის და იმ ავტორიტეტული რეფიმის—იტალიას რომ დღეს მიუძღვის აღორძინებისაკენ—ყოველივე საღი და ღადებითი. მის წინ დაყენებული პრობლემის გადაჭრას ერი შესძლებს მისი არსებული კონსტიტუციის გადასინჯვით: პარლამენტისათვის სახელმწიფოს კონტროლის ფუნქციის დატოვებით, აღმასრულებელი ორგანოს მოქმედების მეტი თავისუფლებით აღჭურვით, სახელმწიფოს შეფისათვის პარლამენტის დათხოვის უფლების მინიჭებით.

კონსტიტუციის რამდენიმე სიტყვის გადასინჯვით შეიძლება თავიდან ავიცილინოთ ერთი კაცის დიქტატურა ან და ერთი ჯგუფის დიქტატურა. ამ ერთად-ერთი გონიერი ზომის მიუღებლობით, საფრანგეთს ამ რა სახის დიქტატურის შორის არჩევანილა დარჩენა“.

ვინაიდან ეს სტატია შეეხება საფრანგეთის შინაურ საკითხებს, ჩვენ როგორც უცხოელნი, თავს ვიყავებთ კომენტარიებისაგან. ხოლო არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღნიშნოთ ამ დიდი პატრიოტი ისტორიკოსის საღი მიღობმა საკითხისადმი. გამოისთვამთ სურვილს, რომ მის მიერ ნაჩვენები ზომები გაეზიარებინოს ფრანგის ერს და რესპუბლიკანური რეფიმი ეხსნას, იმ კრიზისისაგან, რომელიც ემუქრება საფრანგეთს ერთან-ერთად თანამედროვე ცივილიზაციას.

## თ მ ი ზ რ ა ც ი ა შ ი.

ქ. პარიზში მყოფ ქართველ მოვარჯიშეთა საზოგადოება „შე-გარდენი“—ს გამგეობას აქვს პატივი აცნობოს ქართულ კოლონიას, რომ განახლდა ტანთ-ვარჯიშობის სექციის მეცადინეობა. მეცადინეობა სწარმოებს შაბათობით, საღამოს 8 სათ. და 45 წუთიდან—11 საათამდის. შემდეგი მისამართი:

«Gymnase medical», 32, rue du Fbg St Martin, m-ro St Martin.  
ახალი წევრთა მიღება სწარმოებს დარჩაზე, ვარჯიშობის სა-ათებში. გამგეობას გადაწყეტილი აქვს შეადგინოს ქალთა და ბავშვთა ჯგუფებიც.

გამგეობა.

† სოლომონ ზალდასტანიშვილი ოჯახით—მარიამი, გივი  
და ოთარი—მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ  
შ/წლის ქრისტეშობისთვის 23-ს, საქართველოში გარდა-  
იცვალა მისი საყვარელი დედა

ანა ზაჩარიას ასული

ციციშვილი - ზალდასტანიშვილისა.

ეროვნულ-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთის ცენტრალური  
ბიურო და ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს, საყვა-  
რელ დედის გარდაცვალების გამო დამწუხრებულ,  
ბიუროს წევრს

სოლ. ზალდასტანიშვილსა და მის პატივცემულ ოჯახს.

ეროვნულ-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთის ცენტრალური  
ბიურო და ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს  
ვაჟიშვილის გარდაცვალებით დამწუხრებულ  
ბიუროს წევრს ბ. რ. გაბაშვილს.

სარედაქციო კოლეგია.

La gérante : Suzanne Bertillon.



---

რედაქციის მისამართი :

M<sup>r</sup> PATARIDZÉ,  
89, rue de la République, St Mandé (Seine).

ფასი 3 ფრ.



Typographie Franco-Caucasienne, 50, Fg du Temple.

6-493